# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 სექტემბერი 2006 №218 (2840) ფასი 50 თეთრი


# საზოგადოებრივი მოლოდინი უექსპერიმენტო იქნება

## ვასილ გიგიაძე საამხანაგო კაცია

7 ოქტომბერს როსტოკში გერმანია და 11 ოქტომბერს თბილისში იტალია — ასეთია ჩვენი ეროვნული გუნდის კარსმომდგარი განრიგი და კლაუს ტოპმიოლერი სადაცაა, საბოლოოდ დაასრულებს ამ მატჩებისთვის გამოსაძახებელ ფეხბურთელთა შერჩევას. უკვე გერმანიაშია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და 7 ოქტომბრის მატჩის საორგანიზაციო დეტალებზე მუშაობს.

ახალკაცისგან შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, როსტოკული მატჩი საზოგადოებრივმა არხმა გადმოსცეს. ახალკაცის ვარაუდით, ჩვენი ნაკრების საგერმანიო და საიტალიო შემადგენლობა ექსპერიმენტული არ იქნება, თუმც შევიტყვეთ, რომ ტოპმიოლერი უკრაინული „კრივბასის" შემტევ ვასილ გიგიაძის გამოძახებას აპირებს. ტოპმიოლერი გიგიაძეს მანამდე მხოლოდ ამხანაგური მატჩებისთვის იძახებდა, ახლა კი გერმანიასთან ამხანაგურს ევრო 2008-ის თამაშიც მოსდევს იტალიასთან. უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ტურში გიგიაძემ „ზარიას" ორი გოლი გაუტანა და კარგ იშტაზე უნდა იყოს — შვიდ მატჩში მას უკვე ექვსი გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავას ლიდერობს.



# ბრიტანიკა და რიტორიკა — თუკი ეს ხდება ინგლისში, რა ხდება სხვაგან?!



სემ ალარდაისი

## სუფთა ტრანსფერი თითქმის არ არსებობს: პრემიერლიგაში შავი ფულის ზღვა დგას

**BBC** არის ორგანიზაცია, რომლის მოპოვებული და გავრცელებული ინფორმაცია ნდობას იმსახურებს. ხოლო პრემიერლიგა გახლავთ, ალბათ, ყველაზე მოწესრიგებული და პატიოსნად მოთამაშე ლიგა მსოფლიოში. გუშინ კი **BBC**-მ პრემიერლიგა შავი ფულის მიმოქცევაში ამხილა.

**BBC**-მ გამოიკვლია ინგლისური სატრანსფერო ბაზარი. მოკვლევისას გამოიყენა ფარული კამერები, რომელთა მეშვეობითაც, მოგეხსენებათ, ჩაიწერ იმას, რასაც ხალხი არაფრის დიდებით იტყვის ღია კამერის წინ.

ხალხი, რომელთა ზრახვანი გამოააშკარავა ფარულმა კამერამ, გავლენით სარგებლობს ბრიტანულ ფეხბურთში. მათგან ჩვენთვის ყველაზე ცნობილნი „ბოლტონის" და „პორტსმუთის" თავკაცნი, სემ ალარდაისი და ჰარი რედნაპი გახლავან. ყველაფრის მცოდნე მავანი გადამდგარი აგენტი კი ამბობს, რომ ინგლისურ სატრანსფერო გარიგებათა 80 პროცენტის უკან შავი ფული ტრიალებს.

როგორც აღვნიშნეთ, **BBC**-ს ინფორმაცია სანდოა და პრემიერლიგის მოწესრიგებულობით თავმომწონე უფროსობამაც ამად თქვა, რომ უთუოდ გამოიძიებს ყოველივეს და აწონდაწონილად მიიღებს გადაწყვეტილებას.

ეჭვიც არ არის, რომ ასეც მოხდება, მაგრამ რა მოვუხერხოთ სხვა ეჭვს, ბევრად დიდს და მნიშვნელოვანს: თუკი ინგლისური ფეხბურთიც ვერ არსებობს შავი ფულის დაუხმარებლად, რა უნდა ხდებოდეს სხვაგან?!



ჰარი რედნაპი

# იტალია-გერმანია-შვეიცარია

## პრეზიდენტის სვლაგეზში მთავარი როსტოკია



საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოესი მატჩი 7 ოქტომბერს აქვს — კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილი ქართველები გერმანიის ქალაქ-ნავსადგურ როსტოკში გაეჯიბრებიან იოახიმ ლიოვის ბუნდესნაკრებს. ამ მატჩის საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად გერმანიაში იმყოფება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ვისაც გუშინ შევეხმიანეთ...

### ნუ ელით ექსპერიმენტებს

— გერმანიაში გამგზავრებამდე მილანში ვიყავი და პარტნიორ ფირმა „დიადორას" წარმომადგენლებს შევხვდი. ამ შეხვედრაზე ახალი გადაწყვეტილებები არ მიგვილია, უბრალოდ, საქმიანი, უშუალო საუბარი გვქონდა.

**— გერმანიაში კი ალბათ 7 ოქტომბრის მატჩის თაობაზე გაქვთ შეხვედრები...**

— ამ საკითხზე ვმუშაობთ, რამდენიმე დეტალია დასაზუსტებელი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლებთან აქტიური კავშირი გვაქვს. ამ სამუშაო პროცესში როსტოკის „ჰანზაცაა" ჩართული — ჩვენ ხომ ამ კლუბის ინფრასტრუქტურის გამოყენებაც დაგვჭირდება.

**— საქართველოს ნაკრები გერმანიაში რომელიმე სპორტულ ბაზაზე იცხოვრებს?**

— არა, ჩვენი ნაკრები როსტოკის ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავდება.

**— კლაუს ტოპმიოლერთან შეხვედრას არ აპირებთ?**

— პარასკევს შვეიცარიაში უეფას ტექნიკური განვითარების სხდომას დავესწრები, უქმეებზე კი ტოპმიოლერთან ვაპირებ შეხვედრას და მერე თბილისში დავბრუნდები.

**— 7 ოქტომბერს გერმანიასთან და 11 ოქტომბერს იტალიასთან მატჩებისთვის ტოპმიოლერი რამდენი ფეხბურთელის გამოძახებას აპირებს?**

— ასეთი დეტალები ჯერ უცნობია. გერმანიასთან და იტალიასთან მატჩებისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია ალბათ მთლად ექსპერიმენტული არ უნდა იყოს. გერმანიასთან მატჩი მოსამზადებელი ხასიათის იქნება. ასეთი დონის მეტოქესთან თამაშში ყველაზე კარგად ჩანს რეალური სურათი. მხოლოდ ასეთ გუნდებთან თამაშით შეგვიძლია მათთან მიახლოვება.

**— ქართული ტელეარხებიდან თუ არის დაინტერესება ამ მატჩის ტრანსლირების თაობაზე?**

— საზოგადოებრივმა არხმა უკვე გვამცნო თავისი ინტერესის შესახებ, ყველაფერი კი კომპანია SPORTA-სთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდება — გერმანიის ნაკრების საშინაო მატჩების ტრანსლაციაზე უფლებები ამ კომპანიას ეკუთვნის.

**დავით თავართქილაძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# დონადონი შესაძლოა თბილისში მოხსნან



**თუ** იტალია ოქტომბერში უკრაინასთან და საქართველოსთან ევროშესარჩევ მატჩებში ექვს ქულას ვერ აიღებს, რობერტო დონადონის გაათავისუფლებენ — ასეთი ცნობა გაავრცელეს გუშინ იტალიურმა სააგენტოებმა.

დონადონი „სკაუდრა აძურას" თავკაცად გვიდო როსიმ დანიშნა, ვინც გუშინწინ „პოლიტიკური მოტივებით" გადადგა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობიდან.

შეგახსენებთ, რომ ევროშესარჩევის საწყის ორ ტურში იტალიას კინკილა ქულა აქვს — შინ 1:1 ლიტვასთან, სტუმრად 1:3 საფრანგეთთან — და დონადონისაც მყის გამოუჩნდნენ კრიტიკოსები. მორიგი მატჩები მსოფლიოს ჩემპიონებს, როგორც უკვე გითხარით, უკრაინა-საქართველოსთან ელით: 7 ოქტომბერს უკრაინასთან შინ, 11 ოქტომბერს საქართველოსთან თბილისში.

**ბაჩა შალამბერიძე**

# უეფამ ინგლისელი გამოგვიგზავნა



მაიკლ რაილი

**უეფამ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უკვე აცნობა იმ მსაჯთა ვინაობა, რომლებიც 11 ოქტომბერს თბილისში საქართველო — იტალიის ევროშესარჩევ მატჩს განსჯიან.

არბიტრი საკმაოდ ცნობილი მაიკლ რაილი გახლავთ, მას გლენ ტერნერი და დევიდ ბაბსკი დაეხმარებიან, მეოთხე მსაჯი კი ჰოვარდ ვები იქნება. ოთხივე ინგლისელია.



ლევან კობიაშვილს უკრაინელებისგან კოჭებში ბევრი მოხვდა

# კობიაშვილმა სლომკა გაახარა

**საქართველოს** ნაკრებისა და გერმანული „შალკეს" ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა გუშინ ვარჯიში განაახლა და ამ უქმეებზე, შესაძლოა, ითამაშოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ერთკვირიანი მკურნალობის შემდეგ კობიაშვილი თავს კარგად გრძნობს და ექიმებმაც მთელი დატვირთვით ვარჯიშის უფლება მისცეს.

ქართველ ფეხბურთელს მუხლის მყესები უკრაინა — საქართველოს კიევური შეხვედრისას დაუზიანდა, მოგვიანებით კი „შალკეს" ვარჯიშზე ლევანს ტრავმა გაუმიზეზდა, რის გამოც რამდენიმე მატჩი გამოტოვა.

„კობიაშვილი ჩვენთვის დიდი ძალაა. მიხარია, რომ ქართველმა ნახევარმცველმა დღეს უკვე გუნდთან ერთად ივარჯიშა და არაფერს შეუწუხებია. დღეს და ხვალ მას ექიმები ერთხელაც გასინჯავენ და თუ ყველაფერი კარგად იქნა, კობიაშვილს უახლოეს მატჩშივე გამოვიყენებთ. ის გუნდს ძალიან სჭირდება ახლა, როცა რამდენიმე სხვა ფეხბურთელი ტრავმირებულია და იძულებული ვართ, სათამაშო ტაქტიკა შევცვალოთ" — თქვა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ „შალკეს" მწვრთნელმა მირკო სლომკამ. უახლოესი მატჩი კი კობიაშვილის გუნდს შაბათს შინ „ვოლფსბურგთან" აქვს.

**კობა ინასარიძე**

# ქართველი გოგონები სიკვდილის ჯგუფში

**საქართველოს** 19 წლამდე ქალ ფეხბურთელთა ნაკრებს ევროშესარჩევი მატჩები ეწყებათ. ჩვენი ჯგუფის თამაშებს მაკედონია უმასპინძლებს და აქვე კალენდარსაც გთავაზობთ: 26 სექტემბერს ავსტრია — საქართველო, 28 სექტემბერს გერმანია — საქართველო, 1 ოქტომბერს მაკედონია — საქართველო.

ქართველები უდავო აუტსაიდერები არიან ამ ოთხეულში. რომელ ჯგუფიდან გასვლაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა რუსეთის ნაკრებთან 0:21 წააგო. აი, გერმანიის 19-წლამდელი ქალები კი ევროპის ჩემპიონები არიან და შანსებზე თავად იმსჯელეთ...

იქამდე ვინ მიგვიშვებს, მაგრამ ვთქვათ, რომ ფინალური ეტაპი გაისად ისლანდიაში ჩატარდება.




ჩვენი მეტოქე გერმანიის ნაკრები ევროპის მოქმედი ჩემპიონია

## თვალ თვალი




*მეთვრამეტე ეროვნულის მეექვსე ტურში ლიდერმა „ამერმა" „ტორპედოს" 1:0 რომ მოუგო, ბადრი კეთილაძემაც მაშინ ჩააჩხაკუნა ეს კვიმატი ფოტო. თუ ბურთის მოხელთება გინდა, ოთხითაც უნდა დადგე — ასეთია ფეხბურთი. ორი ამერელი და ორიც ტორპედოელი ამად ირჯებიან.*

# მინგეს დღევანდელი კვერცხი აწუხებს

## საქართველომ გერმანია ორად გაყო

— ცოტა ხნის წინ კლაუს ტოპმიოლერთან ერთად გერმანიაში გაემგზავრეთ და თბილისში როდის დაბრუნდით?

— გერმანიაში სამი თამაში ვნახე და თბილისში ორიოდ დღის წინ ჩამოვედი. ახლა საგერმანიო და საიტალიო სამზადისში ვართ, მაგრამ ვცდილობთ, არც ასაკობრივი ნაკრებები დავტოვოთ უყურადღებოდ და ამიტომაც 19-წლამდელთა ნაკრების შეკრებას ვესწრები.

— საქართველოს ჩემპიონატის უახლოეს ტურებსაც დაესწრებით?

— ამას ჩვენ ყოველთვის ვაკეთებდით, საკმაოდ ბევრი თამაში ვნახეთ და სანაკრებოდ გამოსადეგ მოთამაშეთა სიაც მკვეთრად გავცხრილეთ. ვაკვირდებით, იქნებ ვინმე აღმოვაჩინოთ ისეთი, ჩემპიონატში კარგად რომ თამაშობს, მაგრამ...

— მიგაჩნიათ, რომ ის, ვინც კარგად თამაშობს, უკვე ლეგიონერია და ქართულ კლუბებში თქვენთვის საინტერესო ფეხბურთელები აღარ არიან?

— უფრო ტალანტია სწორი ფორმულირება იმისა, ვისაც ჩვენ ეროვნულ ჩემპიონატში ვეძებთ. კარგი მოთამაშეები კი ძალიან ადრე ტოვებენ ქვეყანას. ეს, ერთი მხრივ, საწყენია, მაგრამ, მეორე მხრივ, ასე უფრო მეტი შანსი აქვთ, რომ პროფესიონალები გაიზარდონ და გამოცდილება მიიღონ. ამაში პოზიტიური ისიცაა, რომ აქ დარჩენილებს თავის გამოჩენის მეტი შანსი აქვთ.

**ოქტომბერი საკმაოდ დატვირთული თვეა საქართველოს ნაკრებებისთვის — ეროვნულის გარდა, ევროშესარჩევ ეტაპებზე 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებიც ითამაშებენ. ჩვენც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგეს გავსაუბრებოდით, რომელმაც ამ საკითხების გარდა, საინტერესო სხვაც ბევრი გვითხრა...**



— გერმანიასთან თამაშამდე საქართველოში შეკრება არ იგეგმება?

— ალბათ დამეთანხმებით, რომ უაზრობაა ორი დღისთვის ლეგიონერების საქართველოში ჩამოყვანა და მერე კვლავ ევროპაში მათი დაბრუნება. ჩვენ 2 ოქტომბერს ჩავალთ როსტოკში, 3-ში ყველა ფეხბურთელს იქ ველით და საუკეთესო პირობებში მოვემზადებით ორი უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის.

— გერმანიაში რას ამბობენ საქართველოს ნაკრებთან თამაშზე?

— ისინი, რომელთაც ფეხბურთი ესმით, პატივს სცემენ საქართველოს ნაკრებს. მათ იციან, რა შესაძლებლობები აქვს ჩვენს გუნდს. ფიფას მწვრთნელთა ბერლინის კონგრესზე ბევრი ვესაუბრეთ გერმანელებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ საქართველოს ნაკრები არაა ხელწამოსაკრავი გუნდი. ფეხბურთის უბრალო ფანებს კი მიაჩნიათ, რომ 7 ოქტომბერს მათი ნაკრები ეთამაშება გუნდს, რომლის დამარცხებაც ძალიან იოლია.

— გერმანიის ნაკრებზე რას იტყვით?

— მართალია, იურგენ კლინსმანმა დატოვა გუნდი, მაგრამ მას შემდეგ ნაკრებმა სამი თამაში ითამაშა და საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო. ბუნდესნაკრები გამოცდილი და ახალბედა ფეხბურთელების ძალიან კარგი ნაზავია. ჯერ კიდევ რვა-ცხრა წლის წინ დაიწყო გერმანიამ ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენა და ნაკრებისთვის მზადება და ახლა სწორედ ამ მძიმე სამუშაოს ნაყოფს იმკის. ასეა შვეიცარიაშიც, რომელიც ფართობით საქართველოს ტოლია და არჩევანიც თითქმის იგივეა, რაც ჩვენთან. მაგრამ მათ უფრო ადრე დაიწყეს მომავალზე ზრუნვა და შედეგიც მიიღეს. ჩვენთვის ასე მუშაობა თითქმის შეუძლებელია — რა თქმა უნდა, ვეძებთ ტალანტებს, მაგრამ კონცენტრირებულნი ვართ აწმყოზე და იმ თამაშების წარმატებულად ჩატარებაზე, რომელიც ახლო მომავალში გველის.

— როდის გამოცხადდება ნაკრების შემადგენლობა?

— ახლა მხოლოდ იმას გეტყვით, რომ 24-25 მოთამაშე გვყავს გამოძახებული. სიას ხუთშაბათს ან პარასკევს გამოვაცხადებთ.

— 21-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევი თამაშები დაასრულა. სავარაუდოდ შემადგენლობა ალბათ შეიცვლება...

— ეს ბუნებრივიცაა. ნაკრები ძირითადად 1986-წლიანებით დაკომპლექტდება. ეს ასაკობრივი გუნდებისთვის პერმანენტული პროცესია.

**ნინო სილაგაძე**

# ყაზახური მენდესOS

## ლორიას ფეხბურთელი ხელში ჩააკვდა



**მთელი ყაზახური ფეხბურთი შოკშია. 18 სექტემბერს, საღამოს ვარჯიშის წინ გარდაიცვალა ყარაგანდის „შახტიორის" ბრაზილიელი ლეგიონერი ნილტონ მენდესი, 30 წლის თავდამსხმელი, ვინც ბოლო წლებში ყაზახეთის სუპერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა... მენდესი ქართველი ფეხბურთელების, ვიტალი დარასელიასა და გიორგი გაბიდაურის თანაგუნდელი და მეგობარი იყო... დღეს ლამის მთელ ყაზახეთში გლოვაა გამოცხადებული — მენდესის გარდაცვალებით გაოგნებულია „შახტიორის" პრეზიდენტიც, ქართული წარმოშობის გრიგოლ ლორიაც, ვინც პირადად შეესწრო ამ ტრაგიკულ ამბავს...**



— ვარჯიშის დაწყებამდე ყველანი გასახდელში ვიყავით. სავარჯიშოდ ნილტონიც ჩვეულებრივ ემზადებოდა, თუმცა მოედანზე გასვლის წინ ექიმს უთხრა, თავი მტკივაო. წნევა გაუზომეს და ძალიან მაღალი ჰქონდა. ჩვენი კლუბის ექიმმა მას წამალი მისცა და გვითხრა, დღეს არ ავარჯიშოთო. ასეც მოვიქეცით, თუმცა მოგვიანებით ნილტონმა დაიჩივლა, გული ამტკივდაო. მაშინვე გამოვიძახეთ სასწრაფო და სანამ ის მოვიდოდა, ნილტონი უფრო ცუდად გახდა, გონება დაკარგა. ამასობაში სასწრაფოც მოვიდა, მაგრამ საავადმყოფომდე მიყვანა ველარ მოვასწარით. ნილტონი გზაში გარდაიცვალა...

— მაინც როგორ ფიქრობთ, რას უნდა გამოეწვია ეს უბედურება?

— რაც მთავარია, მას ისეთი დატვირთვები არ ჰქონდა, რასაც შეიძლებოდა, გული გაეჩერებინა. უსტკამენოგორსკის „ვოსტოკთან" არც უთამაშია, მეორე დღეს კი ბიჭები მხოლოდ საბანაოდ გვყავდა... ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ დღემდე შოკში ვართ. მას არასოდეს აწუხებდა ასეთი რამეები, ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო...

— ექიმები რას ამბობენ? საბოლოო დიაგნოზი არსებობს?

— ამის თაობაზე მოგვიანებით გვეტყვიან. ახლა საბუთებს ვამზადებთ, რათა ნილტონი თავის სამშობლოში, ბრაზილიაში გადავასვენოთ. მანამდე კი ჩვენს სტადიონზე გამოსამშვიდობებელი საღამო იქნება. ეს უამრავი ქომაგის სურვილია. ნილტონი მუდამ მხიარული და კეთილი იყო, ქომაგებს ძალიან უყვარდათ და მოფერებით „მენას" ეძახდნენ. ვფიქრობ, ის ძალიან დიდი დანაკლისია მთლიანად ყაზახური ფეხბურთისთვის...

ეს იყო გრიგოლ ლორიას ინტერვიუ, ჩვენ კი გეტყვით, რომ ნილტონ მენდესს მეუღლე და ათი წლის ვაჟი დარჩა...

ბრაზილიური „ატლეტიკო პარანენსეს" ყოფილ ფორვარდს „შახტიორამდე" პავლოდარის „ირტიშში" და ასტანას „ჟენისში" უთამაშია. ყაზახეთის ჩემპიონატის 200-მდე მატჩში 80 გოლი გაუტანია. სწორედ მისი გოლით მოიგო შარშან „შახტიორმა" ქვეყნის თასი... ბოლო გოლი მენდესმა 4 აგვისტოს „ასტანას" პენალტით გაუტანა...

...ფეხბურთში თუ სპორტის სხვა სახეობებში ასეთი ტრაგიკული ამბები ბოლოხანს არც ისე იშვიათია და ეს „სარბიელის" მკითხველმა კარგად იცის. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მას შემდეგ მძლავრობს, რაც სპორტსმენთა დატვირთვები ლამის დღითიდღე მატულობს. ამიტომაცაა, ევროპაში სპორტულ მედიცინაში მილიონებს რომ დებენ და მაქსიმალურად ცდილობენ თავის დაზღვევას...

ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ სანამ რაიმე უბედურება ჩვენთანაც მომხდარა, ალბათ დროა, თვალები გავახილოთ...

**ბახა შალამბერიძე**

# სიონი შუაში ჩადგა

## ცხადაძე აღმასკომს დაელოდება



**საქართველოს** ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ დღეს ფეხბურთის ფედერაციაში მწვრთნელ კახა ცხადაძისთვის დისკვალიფიკაციის მოხსნის თხოვნით შუამდგომლობას შეიტანს. ეს თხოვნა ფედერაციაში თუ მიიღეს, მაშინ საკითხს აღმასკომის უახლოეს სხდომაზეც განიხილავენ. სიტყვამ მოიტანა და, ბოლნისელები ფედერაციას ასევე სთხოვენ, რომ „სიონს“ აღმასკომში წარმომადგენელი ჰყავდეს. ბოლნისელთა თქმით, საქართველოს ჩემპიონი გუნდის ერთი წევრი მაინც უნდა იყოს ფედერაციის აღმასკომში.

კახა ცხადაძეს კი სადისციპლინო კომიტეტმა ამ ორი კვირის წინ სამწვრთნელო ლიცენზია შეუჩერა და მიმდინარე სეზონის ბოლომდე მწვრთნელად მუშაობა აუკრძალა. „სიონმა“, რომელსაც, თავის მხრივ, დისკვალიფიკაციის გაუქმების საქმეში დახმარება თავად კახა ცხადაძემ სთხოვა, სწორედ ამ ამბის გამო მიმართა ფედერაციას და იმედოვნებს, რომ აღმასკომი თხოვნას დააკმაყოფილებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# არგენტინა მორჩა, კამერუნი დარჩა

## ბორჯომი ბავშვური გუნდი ხდება

**რუსთავის** „ოლიმპთან“ 0:4 განადგურების შემდეგ „ბორჯომის“ მწვრთნელი *ვლადიმერ ხაჩიძე* არგენტინელი ლეგიონერებით აღშფოთებას ვერ მალავდა — მათი ჩამოყვანა ქართული ფეხბურთის მასხრად აგდებააო.

ხაჩიძემ მაშინვე თქვა, შემადგენლობის დაყენებას არავინ მეკითხება და ამაზე რეაგირებას მოვახდენო. ან მე, ან არგენტინელები — ასე დააყენა საკითხი ხაჩიძემ და საბოლოოდ ყველაფერი იოლად მოგვარდა: პატაგონიელები სამშობლოში მიდიან...

— კლუბის ხელმძღვანელობას ვუთხარი, არგენტინელებთან ვერ ვიმუშავებ-მეთქი. შვიდივე მათგანი ხვალ-ზეგ მიდის გუნდიდან.

— კამერუნელი ლეგიონერები რჩებიან?

— კი, ორივე რჩება.

— არგენტინელები მართლა ასეთი დაბალი დონისანი არიან თუ ენის პრობლემამაც იქონია გავლენა?

— არა, ენა რა შუაშია?! წინა სეზონშიც გვყავდა არგენტინელები, მაგრამ კარგი ფეხბურთელები იყვნენ, ესენი კი...

— ეს კარგი, მაგრამ „ბორჯომში“ დარჩნენ საკმარისი რაოდენობის ფეხბურთელები?

— მძიმე დღეში ჩავვარდით. იძულებულნი გავხდით, რეგიონალლიგიდან დაგვემატებინა გამოუცდელი მოთამაშეები, ფაქტობრივად, ბავშვები. თუმცა არგენტინელებთან მუშაობას ეს მირჩევნია.

**ილია ნანობაშვილი**

# დაარტყი და გაზომე

**ფეხბურთის** სავარჯიშო კარი — ასეთი რამ დაგვხვდა „თბილავიამშენის“ შენობასთან მდებარე მერიის სახსრებით აშენებულ მინი-მოედანზე. ფეხბურთის კარი სავარჯიშოა, სხვა რა უნდა იყოს, მაგრამ აქ საქმე სხვა რამესთან გვაქვს: კარის მაღლა დგას 15-ციფრიანი ნიშნული, რომელიც დარტყმის ძალას ზომავს.

განვმარტავთ: თუ გინდათ, რაც შეიძლება მაღალ რიცხვამდე ახვიდეთ, უნდა ეცადოთ, სიძლიერესთან ერთად კუთხეში დაარტყათ ბურთი. მოკლედ, რაც უფრო ძლიერად და კუთხეში ურტყამთ, მით მეტი ქულა გეწერებათ.

ეს სავარჯიშო კარი ანდრე კარბელაშვილმა გამოიგონა, იდეას კი ხორცი შეასხა მერიის სპორტის სამსახურთან არსებული სპორტის სახეობათა სპეცილიზებულ ცენტრ „ავიამშენის“ დირექტორმა ბადრი მანწკავამ.



ანდრე კარბელაშვილი



# მოგებებზე დამშეული მგლები



ერთადერთი გუნდი, სამეგრელოში ფეხბურთს, ასე თუ ისე, რომ აცოცხლებდა, ფოთის „კოლხეთი“ იყო. დღეს კი ესტაფეტა ზუგდიდის „მგლებმა“ გადაიბარა — ზუგდიდელები პირველ ლიგაში ლიდერობენ და უმაღლესში გადასვლა ამოუჭრიათ გულში. მოკლედ, საინტერესო გუნდთან გვაქვს საქმე: „მგლებს“ ჰყავს გამოცდილი მეკარე აკაკი დევაძე და ასევე საქართველოს ნაკრების ყოფილი საყრდენი ნახევარმცველი ვალტერ გუჩუა. დანარჩენს კი გუნდის მთავარი მწვრთნელი ბესიკ შეროზია გვეტყვის...

## ზუგ-დიდი მიზანი: თან შედეგი, თანაც ინფრასტრუქტურა

— „მგლებში“ პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. ისინი „მგლები 2-დან“ გადმოვიყვანეთ. ძალიან ნიჭიერია 16 წლის ლევან კუტალია, რომელიც უკვე ძირითადში თამაშობს. დევაძისა და გუჩუას გარდა კი, დავასახელებდი ძმებ გოგა და დათო ქირიებს, ფორვარდ პაატა ბაკარანძეს, ფოთის „კოლხეთიდან“ გამოყვანილებს — ვართაგავას, ყურაშვილს, ნარსიას...

**— ვინ პატრონობს „მგლებს“?**

— კლუბის საპატიო პრეზიდენტი კოტე კემულარიაა, დამფუძნებელი — პარლამენტარი ლაშა დარასელია, გუნდის უფროსი კი — კახა ახალაია.

**— რა მიზანი გაქვთ?**

— ჯერჯერობით ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის და იმედია, ასეც გაგრძელდება. გეხსომებათ ზუგდიდის „ლაზიკა“, ჩემი მწვრთნელობის დროს უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდა, მალევე დაიშალა ფინანსური პრობლემების გამო. აქ კი მსგავსი საშიშროება არ გვემუქრება. მეტიც, ლიცენზირებაც უნდა გავიაროთ. ახლა პირველ ლიგას ვლიდერობთ და ყველაფერს გავაკეთებთ უმაღლესში გადასასვლელად.

**— ზუგდიდში თუ იგრძნობა საფეხბურთო აჟიოტაჟი, გულშემატკივარი დადის სტადიონზე?**

— პირველ მატჩზე 1 000-მდე კაცი მოვიდა, ბოლო თამაშებში კი სამი-ოთხი ათასი გულშემატკივარი გარანტირებულივითაა. უმაღლესი ლიგის რამდენიმე მატჩზე ვიყავი და დასწრების მხრივ, ალბათ, „ზესტაფონი“ თუ გვჯობნის.

**— სტადიონი როგორ მდგომარეობაშია?**

— მინდორი და გასახდელები ნორმალურია, ტრიბუნები კი მწყობრში რომ იყოს, უფრო მეტი გულშემატკივარი მოვიდოდა.

**— აკაკი დევაძე კარგა ხანს ვერ თამაშობდა მძიმე ტრავმის გამო, კარიერის დასრულებასაც აპირებდა. ამჟამად როგორ ფორმაშია?**

— დევაძე სერიოზულად ვარჯიშობს და მისით ძალიან კმაყოფილები ვართ. აგერ, მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ისიც არ იყო მისი ბრალი...

**— სხვა ფეხბურთელების დამატებას თუ აპირებთ?**

— ზამთარში ერთი-ორი გამოცდილი მოთამაშის დამატება გვინდა. ისე კი, აქტიურად ვმუშაობთ ფარმ-კლუბთანაც.

**ილია ნანობაშვილი**

# თქვენი ინტერვიუ

# მალხაზ ასათიანთან

**თქვენთვის ამ კარგად ნაცნობი რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი იქნება. მოგვაწოდეთ კითხვები და „თქვენი ინტერვიუ“ არაუგვიანეს 1 ოქტომბრამდე გამოქვეყნდება. იაქტიურეთ, მალხაზ ასათიანი ელის თქვენს კითხვებს...**



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# ბანგ, ბანგ, ბანგ

## ბიბისიმ ინგლისური ფეხბურთი გამოშიგნა: ტრანსფერების 80 პროცენტის უკან შავი ფულია


სემ ალარდაისი

**ბიბისის ჟურნალისტური გამოძიება გადაიზარდა დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ინგლისურ ფეხბურთში სატრანსფერო შავი ფულის ბრუნვას შეეხება. ბიბისიმ თითი გაიშვირა „ბოლტონის“ მენეჯერ სემ ალარდაისისა და ორი საფეხბურთო აგენტისკენ, რომელთაგან ერთ-ერთი ალარდაისის ვაჟი კრეიგია**

ფილმმა, „შიგნიდან — ფეხბურთის ბინძური საიდუმლოებანი“, ასევე ამხილა რამდენიმე მენეჯერი ფეხბურთელებთან წესების დარღვევით მოლაპარაკებებში. მათ შორის, „პორტსმუთის“ თავკაცი ჰარი რედნაპი და „ჩელსის“ ახალგაზრდული ფეხბურთის დირექტორი ფრენკ არნესენი.


კრეიგ ალარდაისი

რედნაპის თანაშემწე კევინ ბონდი ფარული კამერით მაშინ გადაიღეს, როცა ამბობდა, შავი ფულის საკითხს განვიხილავთ აგენტ პიტერ ჰარისონთან ერთადო.

ყველა იმ პირმა, ვინც ბიბისის ფილმში მოხვდა, უარყო კანონის დარღვევა.

ფილმის გასვლის შემდეგ პრემიერლიგამ საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა: „ეს სერიოზული ბრალდებებია. აქ აღწერილია წლეულს იანვარში, არალეგალური ფულის მონაწილეობა ტრანსფერებში. ჩვენ ვთხოვთ ბიბისის, რომ მტკიცებულებები მოგვაწოდოს, რათა ფეხბურთის ასოციაციასთან ერთად განვიხილოთ ყველაფერი და აწონდაწონილი გადაწყვეტილება მივიღოთ.“

ფილმში მავანი აგენტები მექრთამეს უწოდებენ სემ ალარდაისს.

ერთ-ერთი მათგანი, ფრანგი ტენი იარემა ამბობს, რომ ალარდაისმა მისგან ქრთამი აიღო, ნახსენები ჰარისონი კი აცხადებს, ფული მის ვაჟ კრეიგს მივეციო.


ჰარი რედნაპი

„ამის შემხედვარე ალარდაისმა თქვა, მსგავსი არაფერი ყოფილა და „ბანგი“ არასდროს ამიღიაო. „ბანგს“ სწორედ ასეთ შავ ფულს ეძახიან. „ბოლტონს“ სათასო თამაში ჰქონდა და მენეჯერს ფილმის ნახვა ვერ მოუხერხებია, თუმც კი, ბრძოლას აპირებს. მისი ვაჟი კრეიგი, ფილმის მიხედვით, გარეულია ისრაელ ტალ ბენ ჰაიმის, ჰიდეტოში ნაკატასა და ომანელი მეკარის ალი ალ ჰაბსის ტრანსფერთა საიდუმლო ფულებში. თავად კრეიგმა თქვა, რომ ყველაფერი ლეგალურად იყო და მამამისმა ყოველი კაპიკის ამბავი იცოდა.

ჰარი რედნაპი ფარული კამერით მაშინ გადაიღეს, როცა ის აგენტ ჰარისონს ბლექბერნელი ენდი ტოდის შესახებ ელაპარაკებოდა. ფირზე რედნაპი ამბობს: „აუცილებლად ავიყვან. ძალიან მომწონს.“

თვითონ ჰარიმ თქვა, ამაში უკანონოს ვერაფერს ვხედავ, ფეხბურთელთან მოლაპარაკება არ დამიწყიაო. ფრანკ არნესენიც ჰარისონის მეშვეობით გადაიღეს. ის ამბობს, რომ 150 ათასს მისცემს „მიდლსბროს“ თინეიჯერ ნათან ჰორიტს, თუ ის „ჩელსიში“ გადავა. ჰარისონი ერთ ლივერპულელ მოხელესაც გასაუბრებია ჰორიტის შესახებ და ისიც თქვა, რომ „ბორომ“ არაფერი იცის მოლაპარაკებების შესახებ. წესის დარღვევა სწორედ ფეხბურთელთან კლუბის ზურგს უკან ლაპარაკია.


ფრენკ არნესენი

ბოლო დიდი სკანდალი შავი ფულის გამო 1995 წელს მოხდა, როცა „არსენალის“ მენეჯერი ჯორჯ გრემი ერთი წლით მოკვეთეს თამაშიდან, რახან ნორვეგიელ აგენტ რუნე ჰაუგესთან 425-ათასიანი შავი გარიგებით ორი ფეხბურთელი მიიყვანა „არსენალში“.

ის ერთადერთ ცნობილ მწვრთნელად რჩება, ვინც დარღვევებისთვის დაისაჯა.

ყოფილმა აგენტმა სტივ ნოელ-ჰილმა კი თქვა: ტრანსფერების 80 პროცენტის უკან შავი გარიგება დგას.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ოუენი მტრედია: ფანჯარაში ზის და მანჩესტერს ელის

**ოუენ ჰარგრივსმა SKY SPORT**-ს უთხრა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლას არ გამორიცხავს.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი მიუნხენის „ბაიერნმა“ აგვისტოში დააჯარიმა იმისთვის, რომ მან „მანჩესტერში“ გადაბარგების სურვილი საჯაროდ გამოთქვა. ჰარგრივსმა მსოფლიოს ჩემპიონატზე საუცხოოდ ითამაშა და სერ ალექს ფერგიუსონს მისი ყიდვა ძალიან სურდა, ისევე, როგორც ფეხბურთელს „მანჩესტერის“ მაისურის მორგება. თუმცა „ბაიერნმა“ ნახევარმცველი არ გაუშვა და რამდენიმე მატჩში სათადარიგოთა სკამზე დასმით დასაჯა.

გასულ უქმეებზე ჰარგრივსმა „არმინიასთან“ მატჩში ფეხი მოიტეხა და ექვსი კვირა მკურნალობა მოუწევს. „ძალიან ძნელი სათქმელია, მაგრამ ვერაფერს გამოვრიცხავ — განაცხადა ინგლისელმა „მანჩესტერში“ გადასვლასთან დაკავშირებით — მაშინ ვთქვი ის, რაც მინდოდა მომხდარიყო, ანუ პრემიერლიგაში თამაში მსურდა, მაგრამ ეს არ მოხდა. მიუხედავად ამისა, არ ვნანობ, საჯაროდ გამოთქმული სურვილის გამო რომ დამსაჯეს, რადგან ამისთვის მზად ვიყავი. ახლა უკვე „ბაიერნმა“ იცის ჩემი გეგმების შესახებ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.“

ევრო 2008-ის შესარჩევი ორი მომდევნო მატჩი ინგლისის ნაკრებს ოქტომბერში ელის. 7-ში მაკედონიას მასპინძლობენ, 11-ში კი ხორვატიას ესტუმრებიან. ტრავმების გამო გუნდს ორი ნახევარმცველი დააკლდება — ოუენ ჰარგრივსი და აარონ ლენონი — ამიტომ ამბობენ, რომ ეგებ სტივ მაკლარენმა დევიდ ბექემს ისევ უხმოსო. აი, რას ფიქრობს ამის თაობაზე „ბაიერნის“ ლეგიონერი: „დევიდ ბექემისთვის ნაკრებში ადგილი ყოველთვის მოიძებნება. „მანჩესტერში“ ჩემი შესაძლო გადასვლის გამო ამბავი რომ ატყდა, მან დამირეკა და შემაგულიანა. ძალიან მესიამოვნა და საერთოდ, გულს უხარია, ასეთი ხალხი მხარში რომ გიდგას. მართალია, ამჟამად იგი ნაკრების წევრი არაა, მაგრამ არ მგონია, მაკლარენმა კარი სამუდამოდ მიუხუროს. ბექემის ნიჭზე საუბარი ზედმეტია. ის ყოველთვის საჭირო კაცია ინგლისისთვის, თუმც გადაწყვეტილებას მე და ბექემი კი არა, მწვრთნელი იღებს.“

სტივ მაკლარენის ხელში ოუენ ჰარგრივსი ნახევარდაცვის ცენტრში ფრენკ ლამპარდთან ერთად თამაშობს, ხოლო სტივენ ჯერარდს მარჯვენაფლანგელობა უწევს. „ბაიერნის“ ლეგიონერს სჯერა, რომ მაკლარენის ხელქვეით ნაკრები დიდი ჯილდოს მოგებას შეძლებს: „უდიდესი პოტენციალი გვაქვს და სწორ კალაპოტში თუ მოვაქცევთ, წარმატებაც მოვა. ქომაგებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენ დიდებული გუნდი გვყავს, რომელსაც მომავალში ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონობა ძალუძს.“

რაც შეეხება ტრავმას: „ახლა იმაზე ფიქრის დრო აღარაა, რა და როგორ დამემართა. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ეს მძიმე ტრავმა მშვიდად უნდა გადავიტანო. ნოემბერში დავბრუნდები და, დარწმუნებული ვარ, უფრო ძლიერად ავთამაშდები, ვიდრე ფეხის მოტეხვამდე.“

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არგენტინას მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაუგია

## ხოსე პეკერმანი თავს იმართლებს, ოღონდ აღიარებს: მე აღარავის ვჭირდები



და ისევ წინა კვირას ბერლინში გამართული ფიფასა და უეფას სიმპოზიუმი, რომელშიც ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს სიმპოზიუმი აზრთა გაზიარების დაუშრეტელი წყარო აღმოჩნდა და განა მხოლოდ პროფესიონალთა ინტერესი დააკმაყოფილა, გულშემატკივრებსაც მოუკლა ცნობილ მწვრთნელთა მოსმენის წყურვილი. ამჟამად თქვენ წინაშეა არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხოსე პეკერმანი, ადამიანი, რომელმაც 9 ივნისიდან 9 ივლისამდე ჩატარებულ მუნდიალზე „ალბისელესტე" მეოთხედფინალამდე მიიყვანა.

როგორი შედეგია არგენტინის ნაკრებისთვის მეოთხედფინალში გავარდნა? ალბათ, ცუდი, რადგან დიეგო მარადონას ქვეყანაში ყოველი მუნდიალის წინ ხალხი ოქროს მედლების მოლოდინშია. ამაზევე მეტყველებს ის კრიტიკა, რომელიც პეკერმანს ამ შედეგისთვის დაატყდა თავს. **FIFA.COM**-ის კორესპონდენტის პირველი კითხვაც სწორედ აქედან გამომდინარე იშვა

— ბატონო პეკერმან, უკვე ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ არგენტინის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა დატოვეთ. როგორ გრძნობთ თავს?

— ამჟამად ვისვენებ. ჩემი ცხოვრების ბოლო პერიოდი ძალიან დამქანცველი გახლდათ და ვცდილობ, განმუხტვის ეს საშუალება რაც შეიძლება, სრულად გამოვიყენო. მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ ყველა მწვრთნელისთვის დიდი სტრესი და დატვირთვაა. მერედა, ყველაფერს თავი რომ დავანებო, მომხდარის გასაანალიზებლად და ოჯახის წევრებთან ყოფნისთვის საუკეთესო დრო სწორედ ახლა მიდგას. როდესაც სამუშაო ადამიანისგან დიდ ყურადღებას, დროს და მოგზაურობას ითხოვს, ოჯახის წევრებს ცილდები, მერე კი ამ დანაკლისის ანაზღაურებას ცდილობ. მეორე მხრივ, ეს დასვენება მზადებაა მორიგი პროფესიული ნაბიჯის გადასადგმელად.

— სულ ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, რომ თქვენ კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი იყავით. ჰქონდა ამ ჭორს რაიმე საფუძველი?

— ამის შესახებ მეც მასმედიის საშუალებით გავიგე, პირადად კი არავისთან არანაირი საუბარი არ მქონია. დავიცდი და ვნახავ, მართალს წერდნენ და გადასცემდნენ თუ არა, მერე გამოჩნდება, რა მიმართულებით უნდა წავიდე.

— თქვენთვის რა იქნება ყველაზე კარგი? იქნებ, კვლავ ყმაწვილთა ფეხბურთში დაბრუნება გიჯობდეთ?

— არა, საყმაწვილო ფეხბურთიდან უკვე კარგა ხანია, წამოვედი. მას მერე, რაც ადამიანი მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდ ნაკრებს გაიყვანს, საყმაწვილო ფეხბურთში ველარ დაბრუნდება. მეორე მხრივ, ვაღიარებ, რომ ჯერ ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია. ვნახოთ, რა მოხდება.

— მაშ, ის გვითხარით, როგორი წინადადება მოგხიბლავდათ ყველაზე მეტად? ისევ არგენტინულ ფეხბურთში თუ ისაქმიანებდით?

— რამდენიმე ინტერვიუში განვაცხადე, რომ უარს არაფერზე ვიტყვი, კარს არავის მივუკეტავ, ყოველთვის იქ მინდოდა მუშაობა, სადაც ვგრძნობდი, რომ სარგებელს მოვიტანდი. თუნდაც ჩემი ესპანური თავგადასავალი გავიხსენოთ. ესპანეთში მე „ლეგანესის" დირექტორი ვიყავი და კლუბთან კონკრეტული პროექტის ხორცშესხმაზე გახლდით პასუხისმგებელი. ჩემთვის მნიშვნელოვანი ყოველთვის კონკრეტული პროექტია და არა გუნდის სახელი.

— კეთილი. ახლა ფიფასა და უეფას სიმპოზიუმზე გვიამბეთ. რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ამ ფორუმმა?

— ძალიან დამაინტერესა სიმპოზიუმმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან ასე მალე ჩაატარეს. იცით, ფეხბურთში მოვლენები იმდენად დინამიკურად მიმდინარეობს, რომ საჭიროა ნაკლოვანებები რაც შეიძლება მალე შევაფასოთ და აღმოვფხვრათ, თორემ ყველაფერს დრო და ახალი პროცესები ჩაყლაპავენ. ძალიან კარგია, ფიფას მწვრთნელთა მოსმენა რომ სურს. ეს განვითარების საწინდარია. მწვრთნელები ხშირად განტევების ვაცის როლში გამოდიან, რომელთა არსებობის შესახებ დანარჩენმა ხალხმა არცკი იცის. საბედნიეროდ, ბერლინურ სიმპოზიუმზე მწვრთნელთა და ტექნიკურ დირექტორთა ურთიერთობის არხი გაიხსნა, რაც ცოდნის გაზიარებას ნიშნავს.

— გერმანიის მიწაზე დაბრუნებამ მწარე მოგონებები ხომ არ გაგიღვიძათ? არგენტინის ნაკრებს ფინალისკენ გზა სწორედ გერმანიის გუნდმა გადაუღობა...

— როგორც ყველა ნამდვილ სპორტსმენს, წაგება მეც დღემდე გულს მტკენს და ამაში გასაკვირი არაფერია. მეორე მხრივ, ის, რაც მოხდა, წაგება არ ყოფილა. ფაქტობრივად, ეს გახლდათ ფრე, შეჯიბრებას კი მხოლოდ და მხოლოდ პენალტებით გამოვეთიშეთ. მოკლედ, არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში არ წაუგია. ყველაფერი კარგად რომ გავიხსენოთ, მუნდიალზე გამოვლენილ მიდგომას და ნათამაშებ ფეხბურთს დასაწუნს ვერ დავარქმევთ. მიზანთან ახლოს ვიყავით და მისი მიღწევა იოლად შეგვეძლო.

— ალბათ, მიიჩნევთ, რომ თქვენი კრიტიკა გადაჭარბებული იყო. შეგახსენებთ, რომ არგენტინულმა პრესამ მეოთხედფინალურ შეხვედრაში განხორციელებული ცვლილებები დაგიწუნათ.

— ამაზე პასუხის გაცემა არ ღირს. ბოლო ორ თვეში ბევრჯერ გავაანალიზე ის, რაც გერმანიაში მოხდა, რაც ჩემმა ფეხბურთელებმა გაიღეს და აშკარად დავინახე, რომ ნაკრებს ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებს. რაც შეეხება ხალხის სურვილს, რომ არგენტინის ნაკრები კიდევ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი, რაც, სამწუხაროდ, 1986 წლის მერე ველარ მოგვიხერხებია, ეს გასაგებია და ამ სურვილში ჩვენც ხალხთან გვიგულეთ.

— და თქვენ გადადექით, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელები მხარში გედგნენ. ხომ არ ნანობთ?

— არა. ეს ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება იყო. რა თქმა უნდა, ფეხბურთელების მხარდაჭერა ძალიან ბევრს ნიშნავდა, მაგრამ მაინც წასვლა ვამჯობინე.

— თქვენ ალფიო ბასილემ შეგცვალათ. რას გვეტყვით მისი დანიშვნის შესახებ?

— ვერაფერს. იმედი მაქვს, მას იღბალი შეუწყობს ხელს, მე კი, ისევე, როგორც ყოველთვის და იქნებ მეტადაც, ჩემი ქვეყნის ნაკრების გულშემატკივარი ვიქნები.

— და ბოლოს, როგორ გინდათ მომავალში დაგიმახსოვრონ?

— ამაზე არაფერს ვიტყვი. ყველას თავისი დამოკიდებულება აქვს და, ასე თუ ისე, ამის მიხედვით ლაპარაკობს. პირადად მე მოვლენების ჩემეული ანალიზი მაქვს და ამის საჯაროდ თქმას მოვერიდები.



# ბექემი ოცდღიანში

**მადრიდის** „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა განაცხადა, რომ უახლოეს ოც დღეში კლუბი დევიდ ბექემთან კონტრაქტს გააახანგრძლივებს.

„სამ კვირაში ბექემისთვის ახალი კონტრაქტი მომზადდება, რადგან მისით მეც კმაყოფილი ვარ და ფაბიო კაპელოც" — ბრძანა კალდერონმა.

პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ აღნიშნა, რომ ინგლისელის გუნდში დატოვება სურს, რომელსაც ხელშეკრულების ვადა სეზონის ბოლოს უმთავრდება. 32 წლის ბექემი, სავარაუდოდ, კიდევ ორი სეზონით დარჩება მადრიდის „რეალში".

გასულ უქმეებზე „სოსიედადთან" საშინაო მატჩში კაპელომ ინგლისელი სათადარიგოებში დასვა, რამაც ესპანურ მედიას სალაპარაკო მისცა — დევიდ ბექემს კონტრაქტს აღარ გაუხანგრძლივებენო. მის ნაცვლად მარჯვენა ფლანგზე, ძირითად შემადგენლობაში ხოსე ანტონიო რეიესმა ითამაშა და გოლიც გაიტანა. 73-ე წუთზე რეიესი ბექემმა შეცვალა, რომელმაც მეორე, თვალსასეირო გოლი შეაგდო. მოედნის საკუთარი ნახევრიდან იარა და საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაარტყა.

ინგლისელი მადრიდის „რეალში" 2003 წელს ოთხწლიანი კონტრაქტით გადავიდა, მაგრამ იქ დიდი ჯილდო ჯერ არ მოუგია. მიუხედავად ამისა, რამდენჯერმე თქვა, რომ მადრიდში ბედნიერია და კარიერას „რეალში" დაასრულებს.

**გიორგი დარჯანია**

# რუუდს გზა გაუმრუდდა



**რუუდ ვან ნისტელროოი** ეროვნულ ნაკრებში ისევ არ გამოიძახეს. „ნარინჯისფერები" ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე 7 ოქტომბერს ბულგარეთს სტუმრობენ, ხოლო ოთხი დღის მერე ალბანეთს მასპინძლობენ. მარკო ვან ბასტენი რჩეულ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს საბოლოოდ 29 სექტემბერს დაასახელებს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ვან ნისტელროოი სიაში არ იქნება.

ამ ზაფხულს „მანჩესტერ იუნაიტედიდან" მადრიდის „რეალში" გადასულმა ფორვარდმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას დაკარგა, რასაც ვან ბასტენთან შელაპარაკება მოჰყვა. „ნარინჯისფერთა" მწვრთნელს მუნდიალის მერე ვან ნისტელროოი ერთხელაც არ გამოუძახებია.

ჰოლანდიელთა თავდამსხმელები ისევ არსენალელი რობინ ვან პერსი და ლივერპულელი დირკ კუიტი იქნებიან. გამოძახებულია „სელტიკის" ფორვარდი იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკიც. ტრავმის გამო ბულგარეთთან და ალბანეთთან შეხვედრებს გამოტოვებს „მიდლსბროს" კაპიტანი ჯორჯ ბოატენგი.

**ძოძი ძანდელაძი**

# კიბოს მკურნალობა ასპირინით



**ჩეხი** მწვრთნელი ზდენეკ ზემანი მსოფლიო და განსაკუთრებით იტალიურ ფეხბურთში ცნობილი ფიგურაა. ჯერ ერთი, სერია **B**-ს ბინადარი „ლეჩეს“ თავკაცი კარგი სპეციალისტია, მეორეც, მას რადიკალური და სკანდალური განცხადებების გაკეთება უყვარს. გეხსომებათ მისი კომენტარების მერე აგორებული დოპინგ-სკანდალი, რომელსაც „იუვენტუსის“ ექიმ რიკარდო აგრიკოლას დასჯა მოჰყვა და გაირკვა, რომ ტურინელები რამდენიმე წელი აკრძალულ პრეპარატებს ხმარობდნენ. ახლა ზემანს კალჩოპოლის ვერდიქტი არ აკმაყოფილებს. იგი თვლის, რომ რეალურად არაფერი შეცვლილა.

„სიმართლე გითხრათ, ვითარება ოდნავაც არ შეცვლილა. კალჩოპოლის ვერდიქტი რომ წავიკითხე, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს კიბოს ასპირინით მკურნალობას ცდილობდნენ. თუ მოინდომებს, ყველას შეუძლია, კარგად ნახოს, რომ ბევრი დასჯილი პიროვნება ისევ აგრძელებს მუშაობას. ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერი ისევ ისეა და გული მწყდება, რადგან სიბინძურისგან ფეხბურთის გაწმენდის კარგი შანსი გვქონდა და ის ხელიდან გავუშვით“ — განაცხადა ზემანმა.

ჩეხი შავ მომავალს ხედავს იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც. იგი გვიდო როსის გადადგომით უკმაყოფილოა: „ფედერაცია თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ზეწოლისგან, იქნება ეს პრესის თუ პოლიტიკოსების მხრიდან. მხოლოდ ასე შეიძლება კარგად მუშაობა. თუმცა, სამწუხაროდ, არა მგონია ასე მოხდეს და რაიმე შეიცვალოს. ახლა აზრი აღარ აქვს, ვინ იქნება ახალი პრეზიდენტი“.

**გიორგი ქაქაბაძე**

# რუმენიგე მაგათს: ნუ ეფერები მაგათ!

**მიუნხენის** „ბაიერნის“ თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ გუნდის მწვრთნელ ფელიქს მაგათს მოუწოდა, ფეხბურთელებს მკაცრად შეუძახოს და გამოაფხიზლოს. „კალე“ „ბაიერნის“ თამაშით უკმაყოფილოა. მიუნხენელებმა სეზონი ცუდად დაიწყეს, ბუნდესლიგის პირველ ოთხ ტურში უკვე 5 ქულა დაკარგეს. ჯერ „ნიურნბერგთან“ ითამაშეს ფრედ, მერე კი „არმინიასთან“ წააგეს. მიუხედავად ამისა, მაგათის გუნდი მესამე ადგილზეა და ლიდერთან მხოლოდ ქულა აშორებს.

„ფელიქსს ვურჩიე, რომ როცა საჭიროა, ფეხბურთელების გაკრიტიკებას არ მოერიდოს და ისინი გამოაფხიზლოს. გუნდმა იცის, რომ ბევრად მეტი შეუძლია და გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს. უკვე დროა, ვაჩვენოთ ის, რაც გვეკადრება. არ არის საჭირო წაგებული მატჩების გამართლება და მიზეზების ძებნა. ეს მოთამაშეებს ალიბის აძლევს და ერთი-ორი მათგანი ამას თავის სასარგებლოდ იყენებს, სულაც არ ცდილობს თამაშის გამოსწორებას. ფეხბურთელებმა ამიერიდან შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გამოავლინონ, ახლა სეზონის უმთავრესი მონაკვეთი იწყება“ — განაცხადა რუმენიგემ.


კარლ-ჰაინც რუმენიგე

ამასობაში ფრანც ბეკენბაუერმა გადაწყვიტა, „ბაიერნის“ პრეზიდენტობაზე ისევ იყაროს კენჭი. შეგახსენებთ, რომ მან ამ პოსტზე 12 წელი გაატარა. 61 წლის კაიზერ ფრანცი თავის კანდიდატურას ალბათ ნოემბერში, ხელმძღვანელთა კრებაზე დაადასტურებს. მოგეხსენებათ, იგი უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის შემცვლელადაც მოიაზრება.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბრმა ტყვია
## დელ გროსომ ჯამპაოლო გათიშა

**იტალიური** „კალიარის“ მწვრთნელმა მარკო ჯამპაოლომ ერთ-ერთი ვარჯიშისას კომიკური ტრავმა მიიღო. იგი ფეხბურთელებს ჩვეულებრივ აკვირდებოდა, თუ როგორ ათამაშებდნენ ბურთს, როდესაც კრისტიანო დელ გროსოს ჩაწოდებული თავში მოხვდა. „ასკოლის“ ყოფილმა თავკაცმა ვარჯიში გააგრძელა, მაგრამ ცოტა ხანში თავბრუსხვევამ და გულისრევის შეგრძნებამ შეაწუხა.

ექიმებმა იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და მოგვიანებით თქვეს, შესაძლოა, მსუბუქი ტვინის შერყევა ჰქონდეს და „ლივორნოსთან“ მატჩს ვერ დაესწროსო. „ლივორნოსთან“ კი სარდინიელებმა წუხელ გვიან ითამაშეს, მაგრამ ძალიან შესუსტებული შემადგენლობით. ჯამპაოლოზე რომ არაფერი ვთქვათ, სხვადასხვა მიზეზის გამო „კალიარის“ ანტონიო ლანჯელა, ჯო ბიზერა, ალესანდრო ბუდელი და დელ გროსო აკლდნენ.

**კოკი კანდელაკი**



# მამუტუმ ჩაჭრა

## საფრანგეთი
### ლიგის თასის II ეტაპი

**ისტრი 0:1 ლილი**
**დიჟონი 2:1 ამიენი**
**რეიმსი 3:1 კლერმონი**
**ნანტი 0:2 ტულუზი**

**ქომაგების** გაკვირვებას აგრძელებს „ტულუზი“, რომელმაც სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და ჩემპიონატში ამჟამად მეოთხეა. ამჯერად, ტულუზელებმა საფრანგეთის ლიგის თასის მეორე ეტაპიდან „ნანტი“ დაიფრინეს.

ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გაიხსნა, როდესაც „ნანტის“ მეკარემ ვლადიმირ სტოიკოვიჩმა ბრაიან ბერგუნოს შორეული დარტყმა მოიგერია და ახალგაზრდა ფორვარდმა ჟან-ლუი აკპა-აკარომ ახლოდან იოლად გაიტანა. მეორე ნახევარში კი იმავე ბერგონოს ჩაწოდებულს ალექსანდრ ბონემ თავური შეაგება და 0:2.

„ნანტმა“ სეზონი ცუდად დაიწყო და ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა. ამას ახლა თასიდან გავარდნაც დაერთო და მწვრთნელი სერჟ ლე დიზე გუშინ ჟორჟ ეოთი შეცვალეს.

„ლილს“ ცოტა გაუჭირდა მეორე დივიზიონის ბინადარ „ისტრთან“. ყველაფერი 53-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც ისტრელთა მცველმა მამუტუ კულიბალიმ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. კლოდ პუელის შეგირდებმა ეს ანგარიში შეინარჩუნეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

**კოკი კანდელაკი**


ნიკოლა ანელკა

# ქრიუმ უიგანი განზე დატოვა

## ინგლისი
### ლიგის თასის მეორე ეტაპი

**ბარნსლი 1:2 დონსი**
**ბირმინგემი 4:1დ.დ.(1:1) რედსემი**
**ბრენტფორდი 0:3 ლუთონი**
**ქრიუ 2:0 უიგანი**
**ჰერეფორდი 1:3 ლესტერი**
**ჰალი 0:0(პენ.3:2) ჰარტლპული**
**ლიდსი 3:1 ბარნეტი**
**მენსფილდი 1:2 პორტსმუთი**
**მილუოლი 0:4 საუთჰემპტონი**
**პიტერბრო 1:2 ევერტონი**
**პორტ ვეილი 3:2 ქუინზ პარკი**
**როტერჰემი 2:4 ნორვიჩი**
**შეფილდი 1:0 ბერი**
**საუთენდი 3:2 ბრაიტონი**
**უოლსოლი 1:3 ბოლტონი**
**უოტფორდი 0:0(პენ.6:5) აკრინგტონი**
**ვესტ ბრომვიჩი 3:1 ჩელტენემი**
**ჩარლტონი 1:0 კარლაილი**
**რედინგი 3:3(პენ.4:2) დარლინგტონი**

**ინგლისის** ლიგის თასის მეორე ეტაპის მატჩებში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. უპირველეს ყოვლისა, თასის გასული სეზონის ფინალისტ „უიგანის“ პირველლიგელ „ქრიუ ალესანდრიასთან“ მარცხით უნდა დავიწყოთ. პოლ ჯუელის შეგირდებმა როდნი ჯეკისა და ნიკი მაინარდის გოლებს ვერაფრით უპასუხეს და ნაადრევად დაემშვიდობნენ ლიგის თასს.

მეორელიგელ „პიტერბროსთან“ ძალიან გაუჭირდა „ევერტონს“. ჯეიმს ბიტის თავური ჯუდი სტირლინგმა საკუთარ კარში ჩაჭრა და დევიდ მოიესის გუნდიც დაწინაურდა. თუმცა მასპინძლები მარცხს არ ეპუებოდნენ და ანგარიში გაათანაბრეს კიდეც. ეს ტრევორ ბენჯამენმა გააკეთა. საბოლოოდ, ლივერპულელებს გამარჯვება ავსტრალიელმა ტიმ კეჰილმა მოუტანა, რომელმაც 87-ე წუთზე შეაგდო.

პრემიერლიგის ამჟამინდელმა ლიდერმა „პორტსმუთმა“ პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე „მენსფილდს“. თავი მანუელ ფერნანდესმა და მეტიუ ტეილორმა გამოიჩინეს, 81-ე წუთზე კი დენი რიტმა ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო. ეს პორტსმუთელთა პირველი გაშვებული გოლი გახლავთ ამ სეზონში.

ბოლო წუთებამდე სანერვიულო ჰქონდა „ბოლტონს“. კევინ ნოლანის გოლს მარტინ ბატლერმა უპასუხა, თუმცა ივან კამპომ თავისიანები ისევ წინ გაიყვანა. მეორელიგელი „უოლსოლის“ იმედი კი ბოლო წუთზე ნიკოლას ანელკამ ჩაკლა. ეს ფრანგის პირველი გოლი იყო ახალ კლუბში.

პრემიერლიგის ბინადარმა „შეფილდმა“ მოკრძალებულად, 1:0 მოუგო მეორელიგელ „ბერის“. „ჩარლტონმა“ ამავე ანგარიშით დაამარცხა პირველლიგელი „კარლაილი.“

პრემიერლიგის კიდევ ორ ბინადარს — „უოტფორდსა“ და „რედინგს“ — მძიმე ბრძოლა გადახდათ მეორელიგელ მეტოქეებთან. „უოტფორდმა“ 120 წუთის მანძილზე ვერ გაუტანა „აკრინგტონს“, მაგრამ არც გაუშვა და საბოლოოდ პენალტებით 6:5 მოიგო. „რედინგმა“ კი „დარლინგტონთან“ ექვსგოლიანი თრილერის შემდეგ ასევე პენალტების სერიაში 4:2 იმარჯვა.

## პორტუგალია
### სუპერლიგა. III ტური

**სეტუბალი 1:0 ბოავიშტა**

1:0 ჟულიენი (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ფერეირა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ნავალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბრაგა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ბეირა მარი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ლეირია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მარიტიმუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| სეტუბალი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ბოავიშტა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| აკადემიკა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ავეში | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ნასიონალი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |
| ამადორა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

## იტალია
### სერია B. III ტური

არეცო — ნაპოლი 0:0; ბრეშა — ტრევიზო 2:1; ლეჩე — მანტოვა 2:0; მოდენა — ჯენოა 2:0; პესკარა — ბარი 0:1; პიაჩენცა — ბოლონია 1:0; რიმინი — ფროზინონე 2:1; ტრიესტინა — ალბინოლეფე 1:2

**კროტონე 0:3 იუვენტუსი**

0:1 ბოჟინოვი (30), 0:2 ბუმსონგი (36), 0:3 ბოჟინოვი (77)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბირინდელი, ბუმსონგი, რ. კოვაჩი, ბალძარეტი, კამორანეზი (მარკიონი 71), კ. ძანეტი (პარო 58), ჯანიკედა, ნედვედი (პალადინო 68), ბოჟინოვი, ზალაიეტა

მწვრთნელი: დიდიე დეშანი

მსაჯი: დე მარკო

4 983 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბრეშა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ბოლონია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| ჯენოა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| პიაჩენცა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ჩეზენა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ნაპოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ვერონა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მოდენა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ბარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| რიმინი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ალბინოლეფე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| მანტოვა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ტრიესტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 3 |
| კროტონე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| სპეცია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ფროზინონე | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ტრევიზო | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ვიჩენცა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| პესკარა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| არეცო | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | -3 |
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | -10 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 17 ქულა*

# ტიერი ანრის არ დაიდარდო

## ლონდონი ჩემი უმზეო სახლია: მე უკვე ინგლისურად ვფიქრობ და ფრანგული სიტყვები მავიწყდება

როგორი წელიწადი ჰქონდა ლონდონის „არსენალისა“ და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს? როგორი და... ორი ფინალი წააგო, რაც, მეორე მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ორ ფინალში გავიდა.

წლეულს ანრი საუცხოო ფორმაშია, მაგრამ მაშინაც, როდესაც საუკეთესო ფორმაში არ არის, მუდმივად არტისტულია და, ბევრი ცნობილი მწვრთნელის თქმით, ტექნიკაში დედამიწაზე ბადალი არ ჰყავს. მოდი, დავაზუსტოთ, ტექნიკაში ბურთის ფლობა იგულისხმება და არა სანახაობრივი ტრიუკები, რაც ამ მუდმივად მობილიზებულ და საქმიანი იერის მქონე თავდამსხმელს აგრეთვე ეხერხება. ერთხელ ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, რომ ის უნიკალურია, რადგან გახლავთ ცენტრალური თავდამსხმელი გარემარბის სისწრაფითა და თვისებებით.

ტიერი ანრი უკვე რვა წელიწადია, ლონდონში ცხოვრობს და ინგლისურს, რასაკვირველია, ისევე სრულყოფილად ფლობს, როგორც მშობლიურ ფრანგულს. ინგლისში ფრანგი ძალიან პოპულარულია, თუმცა ყვითელი პრესა არ დასდევს, რადგან, რამდენი ჰემპსტედში მდებარე მისი სახლის ჭიშკარში შეიხედა, მშვიდობიანი სცენების მეტი ვერაფერი დაინახა: ანრი პატარა ტეას პამპერსს უცვლის ან ქურასთან დგას და კარიბულ კერძს ამზადებს (ანრის დედ-მამა ანტილიის კუნძულებიდან არიან), რასაც, ცხადია, უპირველესად მეუღლეს, ნიკოლს მიართმევს — ტიერიმ და ყოფილმა მოდელმა ნიკოლმა ერთმანეთი სარეკლამო კლიპის გადაღებისას გაიცნეს. მერე, ანრი „ტუსოვკებზე“ არ დადის და სისულელეებს და სიგიჟეებს არ ამბობს — ჭკვიანი, სასიამოვნო მოსაუბრეა



— ორი ფინალი წავაგე, მაგრამ კიდევ ათი წელიწადი სიამოვნებით განვიცდიდი ამგვარ ფინალებში თამაშის სიამოვნებას. ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ ორი უდიდესი შეჯიბრებაა და ამათ ფინალებში გასვლა ჩემთვის დიდი პატივია.

**— მკაცრი ადამიანი ხართ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მოედანზე იშვიათად იღიმებით.**

— არა, რას ბრძანებთ?! პირიქით, სრულიად ბედნიერი, წყნარი, კეთილგანწყობილი, გაღიმებული კაცი ვარ. უბრალოდ, მოედანზე ამის ჩვენება შეუძლებელია, რადგან საკუთარი თამაშით კმაყოფილი თითქმის არასოდეს ვარ და თან ვცდილობ, უკიდურესად კონცენტრირებული ვიყო.

**— როგორც ჩანს, თამაშის დროს საკუთარ თავს ებრძვით. რატომ?**

— მამა მყავდა ძალიან მკაცრი, მისთვის მთავარი დისციპლინა იყო. იცით, ჯერ კიდევ ბავშვობაში ვვარჯიშობდი უამრავს, ცუდად გახდომამდე და არა იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობაზე ვოცნებობდი, არამედ იმიტომ, რომ მინდოდა, მაჩემისთვის მომეწონებინა თავი, მინდოდა, მას დაენახა, როგორ გავიტანე გოლი და ჩემთვის გაეღიმა, თუმცა ისიც კარგად ვიცოდი, რომ თამაშის შემდეგ მოვიდოდა და აუცილებლად რაიმე შენიშვნას მეტყოდა. ერთი სიტყვით, თამაშისადმი ბავშვობისდროინდელი განწყობა მაქვს შერჩენილი, ცხოვრებაში კი პირიქით. აქ, ინგლისში კარგად მიცნობენ და იციან, რომ გულღია ადამიანი ვარ, აი, საფრანგეთში კი რვა წელიწადია, აღარ მიცხოვრია და იქ, შესაძლოა, მართლაც მოქუფრული ვინმე ვგონივარ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებიდან მცირე დროა გასული. როგორ გახსენდებათ ეს შეჯიბრება?**

— მგონი, ყველაფერი კარგად გამოვიდა, ზიდანთან დაკავშირებულ უსიამოვნო ინციდენტს თუ არ ჩავთვლით. მთელი ზაფხული დამტანჯეს, ყველა გამვლელ-გამომვლელი იმას მეკითხებოდა, რა მოხდა სინამდვილეში. რა და, ასე ხდება, როდესაც ადამიანი საკუთარი თავის კონტროლს კარგავს. მერე და, მატერაციც არ მოიქცა მაინცდამაინც ზრდილობიანად... მაგრამ, ჩვენ ზიზუს უკვე დიდი ხანია, ვაპატიეთ, მის გვერდით დავდექით და ყველაფრის მიუხედავად მხარი დავუჭირეთ. მეგობრების გუნდი სწორედ ასე უნდა იქცეოდეს და იმიტომ.

**— ასეთი საქციელის მერე როგორ უნდა შეხედოს ზიდანმა ხალხს თვალებში?**

— უკან მოხედვა არ შეიძლება. მე, მაგალითად კრიტიკა კალაპოტიდან ვერასდროს ვერ ამომაგდებს. ამ ცხოვრებაში ყველაზე ცუდი რა არის, იცით? შვიდი წლის რომ ხარ, ცუდად რომ მოიქცევი და შენ დასასჯელად მამას რომ დაუძახებენ. რაღაც ამდაგვარი ტაიგერ ვუდსს და დებ უილიამსებსაც აქვთ გადატანილი და შეგიძლიათ, მათ ჰკითხოთ, მკაცრი აღზრდის შემდეგ როგორია დიდობა. ჩემი დამოკიდებულება კი, მგონი, უკვე აგიხსენით: ძალიან მიხარია, ორ ფინალში რომ გავედი და თან ისე, რომ ამას თავიდან არავინ ელოდა, დაგვცინოდნენ კიდეც, ჩვენ კი ყველა ვაიძულეთ, როგორც „არსენალისთვის“, ასევე საფრანგეთის ნაკრებისთვის პატივი ეცათ.

**— პირადად თქვენ რას ელოდით?**

— არ დაგიმალავთ და, წარმატებისა არ მჯეროდა, განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატზე. შეჯიბრების წინ საკუთარი თავისთვისაც კი სრულიად ამოუცნობი და გაუგებარი გუნდი ვიყავით. ძლიერ მოწინააღმდეგესთან ერთი ამხანაგური მატჩიც კი არ გვეთამაშა. მეტიც, ერთი და იმავე შემადგენლობით მთელი წლის განმავლობაში ორჯერ არ გავსულვართ მოედანზე. გარდატეხა ჩემპიონატზე, ესპანეთთან შეხვედრაში მოხდა, როდესაც თავად დავინახეთ, რომ ძლიერად თამაში შეგვიძლია. თითქოს ბლოკი მოგვეხსნა. და მოდი, ნუ დავივიწყებთ, რომ წინა ორი წლის განმავლობაში დღენიადაგ ყველა ჩვენ გვაკრიტიკებდა, დახმარებით კი არავინ დაგვხმარებია.

**— არც მსაჯები, ხომ? ორივე ფინალში, როგორც პარიზში, ასევე ბერლინში, აშკარად ჩანდა, რომ თქვენ მათზე ბრაზობდით.**

— მოთამაშე მოედანზე რომ ბრაზდება, სრულიად ნორმალურია. ემოციები მერე გადის. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთს თავისი წესები აქვს.

**— რას შეცვლიდით ამ წესებში?**

— რამდენიმე რამ მართლა მაღიზიანებს. მაგალითად, თანამსაჯებს ვთხოვდი, უფრო კარგად დააკვირდნენ, როგორ ართმევენ მცველები თავდამსხმელებს ბურთს. განსაკუთრებით მაისურაზე ქაჩვას უნდა მიაქციონ ყურადღება. ასეთ დროს ფორვარდი წონასწორობას კარგავს და ვარდება, შთაბეჭდილება კი ისეთია, რომ მცველს არაფერი დაუშავებია, თვალსაჩინო დარღვევა თითქოს არც ყოფილა. შვიდი წელიწადია, პრემიერლიგაში ვთამაშობ და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთი მცველი ვნახე, რომელიც მოწინააღმდეგეს მაისურაზე არ ქაჩავს. ეს არის ტოტენჰემელი ლედლი კინგი. მას შეუძლია ბურთი ისე წამართვას, რომ ჩემს მაისურას საერთოდ არ შეეხოს.

**— მსაჯების დასახმარებლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საჭიროა?**

— თუ საქმე თამაშის ბედის გადამწყვეტ ეპიზოდებს ეხება, მაშინ, რასაკვირველია, ტელეკამერის მომხრე ვარ — ოფსაიდი იყო თუ არა, დაე, კომპიუტერმა განსაჯოს, რადგან ადამიანის თვალი ხშირად, რაც სინამდვილეში ხდება, ზუსტად ვერ აღიქვამს. ხშირად ამბობენ, რომ ჩანაწერის ნახვა დროს გაჭიმავს. სისულელეა, იმის გასარკვევად, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი, რამდენიმე წამის დაკარგვა ღირს. მსაჯებთან კამათს რა, ნაკლები დრო მიაქვს?! ხანდახან არბიტრის გარშემო მთელი ჯგრო შექუჩდება და ორი წუთი ამტკიცებს რაღაცას. რა, გოლის ზეიმებს არ მიაქვს დრო?! გეგონება, სიძე და ბევრი საცოლე იყვნენ, ისე გორაობენ მოედანზე.

**— ისევ წაგებულ ფინალებს დავუბრუნდეთ. ალბათ, ამ ორ თამაშში მსაჯების შეცდომებიც იყო და ფეხბურთელებისაც. რას ნანობთ?**

— არაფერს. მოვიგე თუ წავაგე, ამას ჩემს ადამიანურ თვისებებთან რა კავშირი აქვს? როგორიც მანამდე ვიყავი, ისეთი ვარ ახლაც. მერედა, მოდი, ვაღიაროთ, რომ გამარჯვება მუდამ უძლიერესს რჩება, თუნდაც საუბარი პენალტების სერიაზე იყოს, სადაც, ყველამ კარგად ვიცით, რომ გადამწყვეტ როლს ბედი თამაშობს. ეჭვი არ



მეპარება, რომ ცხოვრებაშიც ყველაფერი ისე ხდება, როგორც უნდა მომხდარიყო. ამიტომ, მომხდარზე სინანულით ლაპარაკს აზრი არ აქვს. მორჩა, გადაშალე ფურცელი და წადი წინ.

**— კეთილი, გადავშალოთ. დაიწყო ახალი სეზონი და „არსენალი“ კვლავ შეეცდება, „ჩელსის“ ჩემპიონობაში ხელი შეუშალოს...**

— დიახ, დაიწყო. ჩვენ განახლებული გუნდი და საუცხოო ახალი სტადიონი გვაქვს, ხოლო რაც შეეხება „ჩელსის“, ეს გუნდი ბოლო ორ წელიწადს დამსახურებულად ხდება ჩემპიონი. აბრამოვიჩი მასზე ასეულობით მილიონს ხარჯავს, მაგრამ მოედანზე ჩვენ ფულის წინააღმდეგ კი არა, ფეხბურთელების წინააღმდეგ ვთამაშობთ და, ცხადია, გამარჯვებას შევეცდებით.

**— დღეს ევროპაში რომელი გუნდი სჯობია ყველას?**

— ჩემპიონთა ლიგას ბევრი ფავორიტი ჰყავს, მაგრამ თუ მაინცდამაინც ორის დასახელებას მომთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, „ჩელსის“ დავასახელებდი — შევჩენკოსა და ბალაკის დამატების შემდეგ ლონდონელები, ცხადია, გაძლიერდნენ — მეორე გუნდად კი ჩემი მეგობრის, პატრიკ ვიეირას „ინტერს“ გეტყოდით.

**— სხვათა შორის, თქვენზე მთელი ზაფხულის განმავლობაში ამბობდნენ, რომ „ინტერში“ გადახვიდოდით და განა მხოლოდ „ინტერში“... მოკლედ, „არსენალიდან“ თქვენ წასვლას ელოდნენ.**

— „არსენალი“ და ლონდონი ძალიან მიყვარს. ჩემი სახლი აქ არის და არსად წასვლას არ ვაპირებ. ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ბურთის თამაშს თავს რომ დავანებებ, მაინც ლონდონში დავრჩები. იმედი მაქვს, მერეც ისევ ფეხბურთში ვისაქმიანებ. ლონდონში არასდროს არანაირი პრობლემა არ მქონია. ერთადერთი, რაც ამ ქალაქს აკლია, მზეა. ვიცი, ახლა რასაც ვიტყვი, ცუდია, მაგრამ, ყოველწლიურად თავს უფრო ინგლისელად ვგრძნობ, ვიდრე ფრანგად. ამ ბოლო დროს თავი იმაზე დავიჭირე, რომ ინგლისურად ვფიქრობ. მეტიც, ყოფილა, ფრანგული სიტყვები ვერ გამიხსენებია, თუმცა აქცენტი შევინარჩუნე და (იცინის) მისი წყალობით უფრო სექსუალური კაცის შთაბეჭდილებას ვახდენ. თუმცა, მოდი, „არსენალზე“ ვილაპარაკოთ. ერთიხანობა კონტრაქტს მართლაც არ ვახანგრძლივებდი, რადგან მინდოდა, დამენახა, რა გუნდი იქნებოდა მომავალში, რა დონეს შეინარჩუნებდა ბერხკამპის, კემპბელის, პირესის და კოულის წასვლის შემდეგ. მერე დავინახე, რომ გუნდი მაინც ძველებურად ძლიერი დარჩებოდა, რომ ბევრი ძალიან ძლიერი ახალგაზრდა მართლაცდა ბდღვნის ყველაფერს და კონტრაქტიც გავახანგრძლივე. „არსენალს“ ერთადერთი პრობლემა აქვს, მეტისმეტად ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს, ყველასთვის საკმარისი ადგილი კი არ არის.

**— დაახლოებით ამგვარი სიტუაცია დაგხვდათ „იუვენტუსში“, სადაც 22 წლისა მიხვედით, არა?**

— არა, იქ ადგილის კი არა, დროის პრობლემა იყო. მერედა, „იუვენტუსში“ ჩემს პოზიციაზე არ მათამაშებდნენ, „არსენალში“ კი არსენ ვენგერმა მარცხნიდან ცენტრში შემიშვა და მყისვე გოლების გატანა დავიწყე. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „იუვეში“ დაწყებულ სეზონზე მივედი და მხოლოდ 16 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, გატანით კი სულ სამი გავიტანე.

**— რატომ არ დარჩით?**

— მოჯისთან მქონდა კონფლიქტი, თორემ არ წამოვიდოდი. გუნდში თავს საუცხოოდ ვგრძნობდი. სწორედ „იუვეში“ ვიგრძენი პირველად, რას ნიშნავს გუნდური სულისკვეთება. დღემდე ვმეგობრობ იულიანოსთან, დელ პიეროსთან, ტაკინარდისთან, მონტეროსთან და მასაჟისტ სერჯოსთან. მოკლედ, ჩემი ტურინიდან წამოსვლის მიზეზი მოჯი იყო.

**— მოჯი დღევანდელ იტალიაში უკვე ცუდს ნიშნავს...**

— მოჯი რომ მოჯია, მხოლოდ ახლა როდი გახდა ცნობილი. ის ისე მომექცა, რომ ჩემთვის როგორც ადამიანმა არსებობა შეწყვიტა.

**— ამ კალჩოპოლის სკანდალზე რაღას ფიქრობთ?**

— ძალიან მწყინს, რადგან იტალიაში ბევრი მეგობარი მყავს, განსჯით კი, აბა, ვინ და როგორ განვსაჯო, როდესაც სრული სიმართლე არ ვიცი. კაცმა რომ თქვას, არც მინდა, რომ ვიცოდე. მე, უბრალოდ, მიყვარს ფეხბურთი და მწყინს, რაღაც ცუდი რომ ხდება. ჩვენთან, საფრანგეთშიც იყო „მარსელთან“ დაკავშირებული სკანდალი. ასეთი ისტორიების დროს აშკარა ხდება, რომ ყველამ, ვინც შეცდა, პასუხი უნდა აგოს.

ისე, გამკვირვებია, რომ დღეს იტალიური ფეხბურთის სკანდალზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ ქვეყნის გამარჯვებაზე. აი, მორატი კი ნამდვილი კაცია, სიგიჟემდე უყვარს ფეხბურთი და ვფიქრობ, სკუდეტო, რომელიც „იუვენტუსს“ ჩამოართვეს, დამსახურებულად მიიღო. ეს ადამიანი მზადაა, თავისი „ინტერისთვის“ მოკვდეს. აკი წეღანაც ვთქვი, რომ ყველაფერს თავისი უმაღლესი აზრი აქვს. ყველა დამსახურებისამებრ მიიღებს და ყველა გადაიხდის, რაც გადასახდელი აქვს.

**— ცხოვრებაში როგორ გაქვთ საქმე, თქვენს გადასახდელს იხდით?**

— დიახ. ახლაღა მესმის, რომ თუ რამეს მივაღწიე, მამაჩემის დამსახურებაა. იცით, კალათბურთელობა მინდოდა, მაგრამ, ვაგლახ, ჩემგან კარგი კალათბურთელი ვერ გამოვიდოდა, რადგან უნიჭო ვარ. სამაგიეროდ, მაიკლ ჯორდანს ვეთაყვანები და ვფიქრობ, რომ რაღაცით ერთმანეთს ვგავართ.

**—დღევანდელ კალათბურთელთაგან ვინ მოგწონთ?**

— ალბათ, ალან აივერსონი. ერთხელ ის „რიბოკის“ რეკლამაში ვნახე და ამ ფირმას მერეღა დავთანხმდი სარეკლამო პროექტში „მე მე ვარ“ მონაწილეობაზე.

**— თქვენი, როგორც ფეხბურთელის სამი უმთავრესი თვისება გაგვაცანით, თუ შეიძლება.**

— ბრაზი, ჟინი, სიყვარული.

**— ბრაზიო?**

— დიახ, კარგი გაგებით. მე ქუდბედიანი კაცი არ ვარ, სახიფათო გარემოში ავიზარდე. მე პარიზის გარეუბანში ვცხოვრობდი, ეს კი უამრავ სიძნელესთან შეჯახებას ნიშნავს. ბრაზის გარეშე კარგი ფეხბურთელი ვერ გავხდებოდი.

**— ბავშვობას როგორ იგონებთ?**

— გაუგონარი ბავშვი არ ვყოფილვარ, მაგრამ სულ რაღაც ისტორიებში ვხვდებოდი და ამისთვის მსჯიდნენ. სკოლა მძულდა, დიპლომი არც ამიღია. ახლა მინდა, ჩამორჩენა გამოვასწორო, თორემ ჩემი გოგო მათემატიკაში დახმარებას რომ მთხოვს, რა ვუპასუხო?

**— და თუ თქვენი გოგონა მათემატიკაზე უარს იტყვის და სპორტს გაჰყვება?**

— მაშინ დიდი იმედი მაქვს, რომ ეს სახეობა ფეხბურთი არ იქნება. ისე, მისი პირველი სიტყვა ბურთი იყო, თუმცა ასე იქნება თუ ისე, მე არაფერს დავაძალებ და მხოლოდ დამკვირვებლის როლით შემოვიფარგლები.



# ნიძლავი 30 გოლზე

## მამა რონალდოს ოთხი დღე აგროვებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




**რონალდოს**, რომელიც ხვალ 30-ის შესრულდება, სჯერა, რომ ფაბიო კაპელოს ნდობას მოიპოვებს, ისევ პირველი კაცი გახდება „რეალში“ და სეზონში 30 გოლს გაიტანს.

სინამდვილეში, რონალდო 22 სექტემბერს კი არა, 18-შია დაბადებული, მაგრამ მშობლებმა რეგისტრაციაში დაბადებიდან ოთხ დღეში გაატარეს. რატომ? „იმ დროს რეგისტრაციისთვის საკმარისი ფული არ მქონდა და ოთხი დღე დამჭირდა თანხის შესაგროვებლად“ — თქვა მამამისმა ნელიომ.

1997 წლამდე დაბადების მოწმობა ბრაზილიაში ფასიანი იყო. დათვლილია, რომ ქვეყნის მოსახლეობის 35 პროცენტს არც კი უცდია მოწმობის აღება. თავადაც მიხვდებოდით, რომ ამის მიზეზი სიღარიბეა.

ნელიოს თქმით, რონალდო დაბადების დღეს 22-ში აღნიშნავს. ამიტომ მამა უკვე მადრიდშია შვილთან და თან ბრაზილიური ტელეარხი „გლობო“ ახლავს, რომელიც „კიჭას“ ესტუმრა, რონალდომ კი ფეხბურთზე ილაპარაკა: „კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ვფიქრობ. „რეალში“ კიდევ ბევრი ჯილდო უნდა მოვიგო და თავში ახლა ის მიტრიალებს, რომ კვლავ მსოფლიოს ნომერ პირველი ფეხბურთელი გავხდე. ეს დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ საამისოდ მზად ვარ. მერე, ალბათ, „ფლამენგოში“ დავბრუნდები. კიდევ ოთხი წელი ვაპირებ თამაშს, ხოლო კარიერის დასრულების შემდეგ დავისვენებ და ოჯახს მივხედავ“.

რაც შეეხება ასაკს: „უცნაურია, რომ უკვე ვეტერანად მთვლიან. ჯერ მხოლოდ 30-ის ვხდები. მთავარია, ჯანზე ვიყო და მალე ისევ ძველებურად ავთამაშდები. რობერტო კარლოსს და „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს დავენიძლავე რომ ამ სეზონში 30 გოლს გავიტან.“

უკვე კარგა ხანია, რონალდოს ლიპზე ლაპარაკობენ, ფეხბურთელმა კი სიმსუქნის მიზეზზე ეს თქვა:

„პრიმერადივიზიონის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ტრავმა მივიღე. ვმკურნალობდი და ვერ დავრბოდი. ზომიერად ვიკვებებოდი, მაგრამ ვარჯიში არ შემეძლო. აი, ასეთი მივედი ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის და ამის გამო დამძიმებული ვჩანდი. ნაკრებში ნაცნობობით არავინ მეპატიჟება. მე გამოძახებას ჩემი გოლებით და თამაშით ვიმსახურებ.“

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს:

„თავიდანვე შექმნეს ბრაზილიისგან სუპერფავორიტი. იყო გადაჭარბებული ოპტიმიზმი და ეს ჩვენი ქომაგების ბრალიცაა. ცხადია, ასეთმა ატმოსფერომ ნაკრებზე ცუდად იმოქმედა და ჩემპიონატი მეოთხედფინალში დავასრულეთ. პასუხისმგებლობა ყველამ უნდა იკისროს და ჩემს წილს არც მე გავურბივარ, მაგრამ არ მესმის იმ კრიტიკოსების, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ ფორმაში არ ვიყავით და მეტიც, თითქოს თამაშის სურვილიც არ გვქონდა და ფეხებზე გვეკიდა. ეს უკვე სისულელეა. მე ყოველთვის მზად ვარ ასი პროცენტით დავიხარჯო ბრაზილიისთვის და მეამაყება, ყვითელი მაისურა რომ მაცვია. თუ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მომიწევს, არ გავბრაზდები, რადგან სათადარიგოებში ჩემზე უფრო დიდი ფეხბურთელებიც მსხდარან.“

პირად ცხოვრებაზე კი რონალდომ თქვა: „მე ქალების დამპყრობელი კი არა, მსხვერპლი უფრო ვარ. არ მიყვარს პირადულზე საუბარი, რადგან ისედაც არ მასვენებენ ჟურნალისტები. ეს საშინელებაა, როცა შენს ცხოვრებაში ცხვირს ყოფენ.“

**ირაკლი ნინიძე**

# სარბიელი და პროპო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 18:00 | 3 | არსენალი-შეფილდი | 1.20 | 5.00 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.61 |
| 18:00 | 5 | ასტონ ვილა-ჩარლტონი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 18:00 | 6 | ფულემი-ჩელსი | 7.50 | 4.00 | 1.40 | 2.60 | 1.17 | 1.03 |
| 18:00 | 8 | სიტი-ვესტ ჰემი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 18:00 | 10 | მიდლსბრო-ბლექბერნი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 11 | უიგანი-უოტფორდი | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:15 | 12 | რედინგი-მანჩესტერი | 6.00 | 3.80 | 1.50 | 2.32 | 1.20 | 1.07 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 13 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | **25 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 14 | პორტსმუთი-ბოლტონი | 1.90 | 3.20 | 3.90 | 1.19 | 1.27 | 1.75 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 16 | პრესტონი-ბარნსლი | 1.75 | 3.30 | 4.60 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 17 | ბარნლი-საუთჰემპტონი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 18 | კრ. პალასი-ქოვენტრი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-სანდერლენდი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 18:00 | 20 | ლიდსი-ბირმინგემი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 21 | ლესტერი-კოლჩესტერი | 1.95 | 3.30 | 3.60 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 22 | ლუტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 23 | პლიმუთი-ნორვიჩი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 24 | ქპრ-ჰალი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 25 | უენსდი-დერბი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 26 | ვულვერჰემპტონი-სტოკი | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:15 | 27 | საუთენდი-კარდიფი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 28 | ბორნმუთი-სკანთორპი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 29 | კარლაილი-ბრაიტონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 30 | ჩელტენემი-ბრედფორდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 31 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 32 | დონკასტერი-ბლეკპული | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 33 | ლეიტონი-როტერჰემი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 34 | მილუოლი-ნორთჰემპტონი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 35 | ოლდემი-ჯილინგემი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 36 | პორტ ვეილი-ბრისტოლი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 37 | სუონსი-ჰადერსფილდი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 38 | ტრანმერი-ნოტინგემი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 39 | იოვილი-ქრიუ | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 40 | ბოსტონი-როჩდეილი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 41 | როვერსი-უოლსოლი | 2.55 | 3.20 | 2.40 | 1.41 | 1.23 | 1.37 |
| 18:00 | 42 | ბერი-ბარნეტი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 43 | გრიმსბი-სტოკპორტი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 44 | მაკლსფილდი-ტორკი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 45 | მენსფილდი-აკრინგტონი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 18:00 | 46 | დონსი-ჩესტერი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 47 | ნოტსი-სუინდონი | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 48 | პიტერბრო-ჰარტლპული | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 49 | შრიუსბერი-დარლინგტონი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 50 | უიკომბი-ლინკოლნი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 51 | რექსემი-ჰერეფორდი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 76 | სელტიკი-რეინჯერსი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 18:00 | 77 | დანდი იუნაიტედი-მოზერუელი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 18:00 | 78 | დანფერმლაინი-სტ.მირენი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 79 | ჰიბერნიანი-ფოლკირკი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 18:00 | 80 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.80 | 3.20 | 4.10 | 1.15 | 1.25 | 1.79 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 81 | აბერდინი-ჰართსი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 83 | ერდრი-დანდი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 18:00 | 84 | ლივინგსტონი-სტ.ჯონსტონი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 18:00 | 85 | პარტიკი-გრეტნა | 3.40 | 3.30 | 1.90 | 1.67 | 1.21 | 1.20 |
| 18:00 | 86 | ქუინი-კლაიდი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 87 | როსი-ჰამილტონი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 88 | ბრეჩინი-ეარი | 2.00 | 3.30 | 3.00 | 1.24 | 1.20 | 1.57 |
| 18:00 | 89 | ფორფარი-მორტონი | 4.40 | 3.60 | 1.60 | 1.98 | 1.17 | 1.10 |
| 18:00 | 90 | რეითი-ალოა | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 18:00 | 91 | სტირლინგი-პიტერჰედი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 92 | სტრანრარი-კოუდენბითი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 93 | დამბარტონი-ალბიონი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 18:00 | 94 | ელგინი-ბერიკი | 3.85 | 3.50 | 1.70 | 1.83 | 1.17 | 1.14 |
| 18:00 | 95 | მონტროუზი-ისტ სტირლინგი | 1.55 | 3.80 | 4.80 | 1.10 | 1.17 | 2.12 |
| 18:00 | 96 | ქუინზ პარკი-ისტ ფაიფი | 3.00 | 3.40 | 2.00 | 1.59 | 1.20 | 1.25 |
| 18:00 | 97 | სტენჰაუზმური-არბროთი | -2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 98 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 99 | ბაიერნი-ალემანია | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 17:30 | 101 | ჰამბურგი-ვერდერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 103 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 17:30 | 105 | მაინცი-ჰერტა | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 106 | შალკე-ვოლფსბურგი | 1.40 | 4.10 | 7.70 | 1.04 | 1.18 | 2.67 |
| 17:30 | 108 | შტუტგარტი-აინტრახტი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 109 | ბოხუმი-არმინია | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 110 | კოტბუსი -ნიურნბერგი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 139 | ალტახი-გრაცერი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 20:30 | 140 | რაპიდი-ტიროლი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 20:30 | 142 | რიდი-პაშინგი | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 143 | შტურმი-ზალცბურგი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:30 | 145 | მატერსბურგი-ტუსტრია | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 243 | ბეტისი-რეალი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 239 | ატლეტიკო-სევილია | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 23:00 | 241 | ბარსელონა-ვალენსია | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 22:00 | 245 | სელტა-ოსასუნა | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 22:00 | 246 | ხეტაფე-ბილბაო | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 22:00 | 247 | ტარაგონა-რასინგი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 248 | ლევანტე-დეპორტივო | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:00 | 249 | მალიორკა-ესპანიოლი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 22:00 | 250 | სოსიედადი-უელვა | 1.90 | 3.20 | 3.95 | 1.19 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 251 | ვილიარეალი-სარაგოსა | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:15 | 263 | ლიონი-ლილი | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 22:00 | 264 | ოსერი-სედანი | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 22:00 | 265 | ბორდო-ტრუა | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 22:00 | 267 | ლე მანი-სოშო | 2.10 | 2.90 | 3.70 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 22:00 | 268 | ნიცა-ვალენსიენი | 2.10 | 3.00 | 3.50 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 269 | პსჟ-ნანსი | 1.80 | 3.20 | 4.40 | 1.15 | 1.27 | 1.85 |
| 22:00 | 270 | რენი-სტ.ეტიენი | 2.30 | 2.80 | 3.30 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 22:00 | 271 | ტულუზი-ლორიანი | 1.95 | 3.00 | 4.00 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 272 | ლანსი-მონაკო | 2.10 | 3.00 | 3.60 | 1.23 | 1.32 | 1.63 |
| 23:00 | 273 | ნანტი-მარსელი | 3.30 | 3.00 | 2.20 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 285 | შარლერუა-ანდერლეხტი | 3.60 | 3.30 | 1.90 | 1.72 | 1.24 | 1.20 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 287 | სტანდარდი-სერკლი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 22:00 | 288 | ბრიუგე-ბეერსხოტი | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 22:00 | 289 | ბრიუსელი-ვესტერლო | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 290 | გენკი-ბევერენი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 22:00 | 292 | ლიერსი-გენტი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 22:00 | 293 | ლოკერენი-მონსი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:00 | 294 | მუსკრონი-სტ.ტრუიდენი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 295 | ვარეგემი-რუზელარე | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 305 | ბრედა-ტილბურგი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 306 | დენ ჰააგი-პსვ | 6.40 | 3.80 | 1.45 | 2.38 | 1.18 | 1.04 |
| 22:00 | 307 | ტვენტე-სპარტა | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 22:00 | 308 | ვიტესი-ჰერაკლესი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 16:30 | 309 | აიაქსი-ნაიმეგენი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 16:30 | 311 | ფეიენოორდი-ექსელსიორი | 1.35 | 4.20 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.69 |
| 16:30 | 312 | გრონინგენი-ვალვაიკი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| 16:30 | 314 | როდა-ალკმაარი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 16:30 | 315 | უტრეხტი-ჰერენვენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 346 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 22:00 | 348 | ერგოტელისი-ოფი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 349 | ეგალეო-კერკირა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 350 | კალამარია-პანიონიოსი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 20:00 | 351 | იონიკოსი-ოლიმპია | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 20:00 | 352 | ატრომიტოსი-ირაკლისი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 22:00 | 353 | პანათინაიკოსი-პაოკ | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 22:00 | 355 | ქსანთი-არისი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **23 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 410 | ჰორსენსი-ოლბორგი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 19:00 | 412 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 413 | ესბიერგი-ვეილე | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 17:00 | 414 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 17:00 | 415 | რანდერსი-სილკებორგი | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 20:00 | 416 | ოდენსე-ბრიონდბიუ | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 435 | ბრინი-კონგსვინგერი | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 18:00 | 436 | ფოლო-ალესუნდი | 6.00 | 4.00 | 1.45 | 2.40 | 1.16 | 1.06 |
| 18:00 | 437 | ჰიოდი-მოსი | 2.20 | 3.60 | 2.70 | 1.36 | 1.21 | 1.54 |
| 18:00 | 438 | ჰიონეფოსი-სოგნდალი | 2.30 | 3.60 | 2.50 | 1.40 | 1.19 | 1.47 |
| 18:00 | 439 | ლოვ ჰამი-სპარტა ს | 2.30 | 3.60 | 2.60 | 1.40 | 1.22 | 1.50 |
| 18:00 | 440 | მანგლერუდი-ტრომსდალენი | 2.35 | 3.60 | 2.50 | 1.42 | 1.21 | 1.47 |
| 20:00 | 441 | ბოდიო გლიმტი-ჰაუგესუნდი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 18:00 | 442 | სტრიომსგოდსეტი-პორს გრენლანდი | 1.25 | 5.50 | 9.50 | 1.01 | 1.10 | 3.48 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 449 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 450 | მალმიო-კალმარი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 21:00 | 451 | იორგრიტე-იოსტერსი | 1.85 | 3.40 | 3.80 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 524 | ფლამენგო-კრუზეირო | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |
| 23:45 | 526 | სანტა კრუზი-პალმეირასი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | **ჰოლანდია. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 617 | ვეენდამი-ფეიენოორდი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 22:15 | 618 | ჰერენვენი-როდა | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 22:00 | 619 | ვალვაიკი-დორდრეხტი | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 646 | რუსენბორგი-სანდეფიორდი | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 706 | ბრიუნესი-ჰვ 71 | 2.55 | 4.20 | 1.90 | 1.58 | 1.08 | 1.30 |
| 21:00 | 707 | ფრიოლუნდა-იურგორდენი | 1.55 | 4.20 | 3.50 | 1.13 | 1.07 | 1.90 |
| 21:00 | 708 | ლულეო-აიკ | 1.50 | 4.20 | 3.50 | 1.10 | 1.04 | 1.90 |
| 21:00 | 709 | მალმიო-ტიმრე | 2.15 | 4.00 | 2.30 | 1.39 | 1.11 | 1.46 |
| 21:00 | 710 | მოდო-ლინჩიოპინგი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| 21:00 | 711 | მორა-ფერიესტადი | 2.60 | 4.10 | 1.75 | 1.59 | 1.04 | 1.22 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **21 სექტემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 726 | ჰაამეენლინა-ტურკუ | 1.95 | 4.10 | 2.40 | 1.32 | 1.07 | 1.51 |
| 19:30 | 727 | კალპა-ლუკო | 2.30 | 4.10 | 2.00 | 1.47 | 1.06 | 1.34 |
| 19:30 | 728 | ტაპარა-კერპეტი | 2.30 | 4.10 | 2.05 | 1.47 | 1.08 | 1.36 |
| 19:30 | 729 | იოკერიტი-პელიკანსი | 1.35 | 4.40 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.22 |
| 19:30 | 730 | ესპოო-იუვესკიულე | 1.60 | 4.20 | 3.30 | 1.15 | 1.07 | 1.84 |
| 19:30 | 731 | სეიპა-ილვესი | 2.15 | 4.00 | 2.30 | 1.39 | 1.11 | 1.46 |
| 19:30 | 732 | ესეტი-ჰელსინკი | 2.35 | 4.00 | 2.00 | 1.48 | 1.08 | 1.33 |

# ფედერაცია ჰერბერტს ენდობა

## ბესიკ ლიპარტელიანი: ფინეთი და გამარჯვება წინაა



„ფინეთში წაგებით არაფერი კატასტროფული არ მომხდარა, უბრალოდ, ნაკრებმა ჩააგდო ერთი ტაიმი და ამისგან ტრაგედია რომ შევქმნათ და მწვრთნელის გადაყენება მოვითხოვოთ, მართებული არ იქნება" — საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ბესიკ ლიპარტელიანის ამ ერთ წინადადებაში კარგად ჩანს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობის პოზიცია ჩვენი ეროვნული გუნდის ევროსაკვალიფიკაციო გამოსვლასთან დაკავშირებით. ერთი სიტყვით, ფედერაცია საშიშს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ ნაკრებმა ფინეთში ულიმღამოდ ითამაშა და 10 ქულით წააგო — მზერა ფინელებთან მომავალი წლის თბილისურ მატჩზე აქვს გადატანილი და სასურველი შედეგის მისაღწევად ღონეს არ დავიშურებო, აცხადებს. ლიპარტელიანმა თავად მოისურვა ჟურნალისტებთან შეხვედრა, თუ რამე კითხვები გაქვთ, პირდაპირ დასვით, მერე გაუგებრობა რომ არ მოხდესო და საკუთარ კაბინეტში მიგვიწვია...

— შარშანდელთან განსხვავებით, ნაკრებს აშკარად მომატებული აქვს — დაიწყო ლიპარტელიანმა — მართალია, წლეულს ძირითადად თბილისში ვემზადებოდით, თუმც მომჩნია, რომ გუნდი შარშანდელზე არანაკლებად იყო ნავარჯიშები. ახალგაზრდული ნაკრები გვყავს, რომელსაც გამოცდილება აკლია და დასახვეწიც ბევრია. კალათბურთელთა უმრავლესობა სახელიან კლუბებში კი თამაშობს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ არაერთს ძირითადად სათადარიგოდ ყოფნა უწევს და შესაბამისად, სათამაშო პრაქტიკის უქონლობას უჩივის. თუმც ამ მხრივაც წინ მიდის საქმე: ზაზა ფაჩულიამ თავი დაიმკვიდრა „ატლანტაში", გიორგი ცინცაძე და ვიქტორ სანიკიძე ახალ გუნდებში გადავიდნენ. ერთი სიტყვით, წინ მივდივართ და ფინეთთან 10-ქულიანმა მარცხმა არ უნდა შეგვაშინოს.

**— ფინეთში დამარცხებას შესაძლოა, ის მოჰყვეს, რომ კვლავ B დივიზიონში დავრჩეთ — ეს კი უკვე ტრაგედიის ტოლფასია...**

— ჯერ ყველაფერი წინაა და ახლა რომ სასოწარკვეთას მივეცეთ, ეს რა მოგვივიდაო, არ იქნება. 10 ქულით წავაგეთ და ჩვენდა გასახარად, ვითარების გამოსწორების შანსი გვაქვს. შარშან კი ამის საშუალებაც არ იყო, ფინეთში რომ წავაგეთ, B დივიზიონში ჩარჩენის ამბავიც მაშინ გაირკვა. ახლა კი წინ მთელი წელია. მომდევნო მატჩს ფინელებთან შინ ვითამაშებთ და ერთად უნდა დავდგეთ, სასურველი ანგარიშით რომ მოვიგოთ.

**— მოგებას გამართული გუნდის ყოლა უნდა, ფინეთში კი ისე გამოჩნდა, რომ საქართველოს გუნდური თამაში არ შეუძლია. არ იყო პრესინგი, სწრაფი შეტევა და...**

— ფინეთთან პირველ ტაიმში გვქონდა ჩავარდნა, რაც ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, მეორეში კი მოვიგეთ. მწვრთნელის უკმაყოფილო არ ვარ, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ყველას, გორდონ ჰერბერტსაც ჰქონდა გარკვეული შეცდომები. რაც შეეხება სათამაშო ტაქტიკას, ჯობს, ამაზე თავად მწვრთნელს ელაპარაკოთ.

**— რა უნდა გაკეთდეს, რათა გაისად ფინეთი სასურველი სხვაობით დავამარცხოთ?**

— რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ და ვეცდებით, აღარ გავიმეოროთ ის ხარვეზები, რაც წლეულს გვქონდა. აუცილებლად მოეწყობა უცხოური შეკრება და მოსამზადებლად გაცილებით ძლიერ მეტოქეებს შევარჩევთ. მოგეხსენებათ, წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და წამყვანმა გუნდებმა გაცილებით ადრე შეადგინეს მოსამზადებელი პერიოდის გრაფიკი. მომავალ წელს ევროპის წამყვან ნაკრებებს ვეთამაშებით ფინელებთან გადამწყვეტი შეხვედრის წინ

**— ფინეთთან მატჩამდე ურთულესი ბრძოლა გველის ისლანდიაში...**

— მართალია. ისლანდია შინ ძალიან სახიფათოა და ფინეთამდე რომ მივიდეთ, კუნძულზე უნდა გავიმარჯვოთ. ვფიქრობ, რთული მატჩი გველის, მაგრამ არა მგონია, საწადელი ვერ ავისრულოთ. ჩვენ ამ მატჩებისთვის სერიოზულად მოვემზადებით.

**— ეგებ ცოტა ადრიანად შეიკრიბოს ნაკრები, შესათამაშებლად მეტი დრო რომ ჰქონდეს...**

— ეს ფიზიკურად არ მოხერხდება, რადგან ლეგიონერები აგვისტომდე შეკრებაზე ვერ ჩამოვლენ. ყველა ნაკრებში ასეა და იმ დროში უნდა ჩავეტიოთ, რაც შეკრებისთვის რჩება.

**— ფინეთი საქართველოზე გაცილებით ადრე შეიკრიბა...**

— ფინეთს არ ჰყავს ნბა-ში მოთამაშე კალათბურთელები, ძირითადად შიდა ჩემპიონატის ბაზის ნაკრებია და როცა უნდა, მაშინ შეიკრიბება. თანაც ფინეთს გარშემო ისეთი ქვეყნები ჰყავს, რომ საითაც გინდა წავიდეს, ღირსეულ მეტოქეს მოძებნის. ესტონეთში ავტობუსით ორ საათში ჩავლენ, ითამაშებენ და უკან მიდიან. იქვეა შვედეთი, ლატვია, ლიტვა... სანამ ჩვენ გვეთამაშებოდა, ფინეთმა ორ ათეულ მატჩზე მეტი ჩაატარა. ჩვენი წაგების ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო.

**— სხვა რა მიზეზებია?**

— მომქანცველი მგზავრობა, ფინელების ცუდი დახვედრა, საკვების საკუთარი მარიფათით მოპოვება და ასე შემდეგ. დარბაზიდან ძალიან მოშორებით დაგვაბინავეს და კვება არ დაგვინიშნეს. ყველაფერმა ამან, ცხადია, გავლენა იქონია თამაშის ხარისხზე. თუმც არაფერია, მჯერა, რომ მომავალ წელს ფინელებს საკადრის პასუხს გავცემთ და ჯგუფიდან უპრობლემოდ გავალთ.

**ირაკლი პერტაია**



ჯეისონ კოლიეს გულმა უმტყუნა

# გულო, ჩადექ საგულესა

**ეროვნული** საკალათბურთო ასოციაცია სულ მალე გახდება ჩრდილოეთ ამერიკის პირველი პროფესიული ლიგა, რომლის ყველა მოთამაშეს ვალდებულებად ექნება კარდიოგამოკვლევის ჩატარება. ამერიკული კალათბურთის გამგებლებს სერიოზულად აშფოთებთ, გულით დაავადებულ კალათბურთელთა რიცხვი რომ მატულობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ნბა-ს მოთამაშეები მარიხუანის მოწევა-შენახვაზე ჩავარდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ძლიერმოქმედ ნარკოტიკებზე. ამასთან, ამერიკულ პროფესიულ ლიგებში (კალათბურთი, ფეხბურთი, ჰოკეი, ბეისბოლი) თითქმის არ არსებობს დოპინგ-კონტროლის სისტემა და სპორტსმენებს დანაშაულადაც არ ეთვლებათ რაგინდარა სახის და სიძლიერის სტიმულატორების მიღება. თვით ოლიმპიადაზეც კი, სადაც ანტისადოპინგო სამსახურის მუშაკები სპორტსმენებს კი არა, ლამის მათ მწვრთნელებსაც ამოწმებენ, ნბა-ს კალათბურთელები და ნჰლ-ს ჰოკეისტები ამგვარი პროცედურებისგან გათავისუფლებულები არიან.

ახლა კი ნბა-ში გადაწყვიტეს, მოთამაშეთა სისხლი თუ არა, გულები მაინც აკონტროლონ. ახლაც ყველას ახსოვს შარშან „ატლანტა ჰოქსის" მოთამაშის ჯეისონ კოლიეს სიკვდილის მიზეზი სწორედ გულის უეცარი გაჩერება რომ იყო. კოლიე მხოლოდ 28 წლის გახლდათ.

ნბა-ს ხელმძღვანელთა დადგენილებით, ამ დღეებში ლიგის ყველა მოთამაშე გაივლის სავალდებულო კარდიოშემოწმებას, შედეგები კი 2-3 ოქტომბრისთვის იქნება და მაშინ გაირკვევა, ვის დართავენ თამაშის უფლებას.

სტატისტიკა გვამცნობს, რომ მსოფლიოში ყოველი 250 ათასი სპორტსმენიდან 1 იღუპება გულის დაავადებით და დაღუპულთა დიდი წილი ამერიკელ სპორტსმენებზე მოდის.



# ძიუდოს მერე სუმოშიც

## ქართველმა რუსს იაპონური ისევ მოუგო

**სექტემბრის** ბაშოზე თერთმეტი ტური გაილია და ქართველი სუმოისტის, ლევან ცაგურიას ანგარიშზე ექვსი ქულაა. კომუსუბის რანგში პირველად მოჭიდავე კოკაის წოდების შესანარჩუნებლად დარჩენილი ოთხი ბრძოლიდან ორის მოგება სჭირდება. გუშინ კი ჩვენებურმა ზედიზედ მესამედ იმარჯვა.

ბალკანელ გულივერად მონათლულ ოძეკი კოტოოსიუს და ექს-სეკივაკე ტამანოსიმას შემდეგ „შავი ზღვის" გემო რიგითმა მაეგაშირა როხომაც გასინჯა. არადა აქამდე ამ უკანასკნელის ანგარიშზე ათი შესაძლებლიდან რვა ქულა იყო და „იმპერატორის თასის" ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად მიიჩნეოდა.

როხომ კოკაის ქამრით დაჭერა სცადა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ქართველის კონტრილეთი — სუკუინაგე გამოეპარა და ლიდერებიდან მათი მდევრების ჯგუფში გადაეწერა. რუსი მაეგაშირა, ამინისკისთან, ფუტენოსთან, ხოკუტორიკისა და ტიოტაიკაისთან ერთად ახლა ორი ქულით ჩამორჩება პირველადგილოსან დუეტს.

ჩემპიონობისკენ ათ-ათი ქულით იოკოძუნა ასასიორუ და დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა ამა მიიწევენ. მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა" 186-კილოგრამიან სეკივაკე მიაბიამას უპრობლემოდ მოუმთავრა საქმე. ამას მეათე მსხვერპლი კი კომუსუბი კისენოსატო აღმოჩნდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი გუშინ ოძეკი ხაკუხოს მარცხი იყო. 21 წლის მონღოლმა იოკოძუნას ტიტულის სექტემბერში მოპოვების რეალური შანსი საბოლოოდ გუშინ დაკარგა და ოცნების ასასრულებლად მომავალ ბაშოს დაელოდება. „თეთრი ფენიქსის" ცოდვაში ფეხი ოძეკი ტოჩიაძუმამ ჩადგა. „იმპერატორის თასის" სამგზის ამწევმა დევკაცმა ხაკუხოს პირველივე წამიდან თავისი ჭიდაობა მოახვია თავს და ყოჩაღი ცუპარებით მაყურებლებში გადაუძახა.

მეთორმეტე ტური დღეს ჩაჭიდავდება. კოკაი მასსავით კომუსუბი კისენოსატოს დაუპირისპირდება, ამა — ხაკუხოს, ხოლო ასასიორუ — ტოჩიაძუმას.

**ოთარ მაღლაკელიძე**



იოკოძუნა ასასიორუ მორიგ მეტოქეს ამარცხებს




# ასაფა პაუელი ყველგან ასია

**ამ უქმეებზე** ათენში ჩარბენილი „იააფ-ის მსოფლიო თასით“ ფაქტობრივად დასრულდა წლევანდელი სამძლეოსნო სეზონი. დარჩა რამდენიმე უმნიშვნელო, უხბაურო და უვარსკვლავო ტურნირი, რომლებიც მსოფლიო რეიტინგში ბევრს არაფერს შეცვლიან, ამიტომ სწორედ ახლა გთავაზობთ ამ რეიტინგსიებს.

ქალთა საერთო სექტორში დაწინაურდა 21 წლის ამერიკელი სპრინტერი სანია რიჩარდსი, რომელმაც ყველგან მოიგო, სადაც ირბინა და ათენშიც თავის საყვარელ 400 მეტრზე გამარჯვებას 200 მეტრზე პირველობაც მიაყოლა და ამ ორი ცალკეული სახეობის რეიტინგსაც თავში მოექცა. მანამდე საერთო ჩათვლას ეთიოპიელი სტაიერი მესერეტ დეფარი ლიდერობდა, მაგრამ ის თავის დისტანციებზე რიჩარსდივით ულაპარაკოდ ვერ ლიდერობდა, რაკილა სწორედ მის სახეობებში ეძებს ბედნიერებას მისი თანამემამულე და ქალთა მძლეოსნობის კიდევ ერთი შავი მარგალიტი ტირუნეშ დიბაბა.

კაცთა რეიტინგის თავში კი არც ისეთი სიმჭიდროვეა, როგორც ქალებში და ეს გასაგებიცაა. მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი ასაფა პაუელი სადაც არის, იქ სხვა ვერავინ განაცხადებს პირველობაზე პრეტენზიას. პაუელმა წლეულის ორჯერ გაიმეორა შარშან დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკრდი — 9,77 წამი 100 მეტრზე. გარდა ამისა, კიდევ 10-ჯერ ჩამოსცილდა 10-წამიან ნიშნულს და გარდასული დროების გმირ მორის გრინსაც ჩამოართვა ეს მიღწევა, მოიგო ზედიზედ 24 გარბენი, ოქროს ლიგის ექვსივე ეტაპი და ბევრი დიდი პრიზი. ასე რომ, საერთო რეიტინგის თავში მის ყელყელაობას ვერავინ გააპროტესტებს. უკვე ყველასთვის ნათელია, რომ წლის ბოლოს სეზონის საუკეთესო მძლეოსნის პრიზი სწორედ იამაიკელს შეხვდება.

## სახეობათა ლიდერები

| | | |
|---|---|---|
| | **კაცები** | |
| 100 მ. | ასაფა პაუელი (იამაიკა) | 1452 |
| 200 მ. | ვოლეს სპირმონი (აშშ) | 1380 |
| 400 მ. | ჯერემი უორინერი (აშშ) | 1423 |
| 800 მ. | მბულაენი მულაუძი (ს. აფრიკა) | 1360 |
| 1500 მ. | ალექს კიპჩირჩირი (კენია) | 1373 |
| 5-10 კმ. | კენენისა ბეკელე (ეთიოპია) | 1419 |
| 110 მ. თარჯრბენი | ლიუ სიანი (ჩინეთი) | 1394 |
| 400 მ. თარჯრბენი | ბერშონ ჯეკსონი (აშშ) | 1382 |
| 3 კმ. წინაღობებით | პოლ კოეჩი (კენია) | 1383 |
| სიმაღლეზე ხტომა | ანდრეი სილნოვი (რუსეთი) | 1336 |
| ჭოკით ხტომა | სტივენ ჰუკერი (ავსტრალია) | 1359 |
| სიგრძეზე ხტომა | ირვინგ სალადინო (პანამა) | 1393 |
| სამმხტომი | კრისტიან ოლსონი (შვედეთი) | 1358 |
| ბირთვის კვრა | რიის ჰოფა (აშშ) | 1369 |
| ბადროს ტყორცნა | ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) | 1392 |
| უროს ტყორცნა | კოჯი მუროფუში (იაპონია) | 1326 |
| შუბის ტყორცნა | ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია) | 1397 |
| მარათონი | ჰაილე გებრსელასიე (ეთიოპია) | 1326 |
| სპორტული სიარული | ფრანცისკო ფერნანდესი (ესპანეთი) | 1339 |
| ათჭიდი | რომან სებრლე (ჩეხეთი) | 1285 |
| | **ქალები** | |
| 100 მ. | შერონ სიმპსონი (იამაიკა) | 1389 |
| 200 მ. | სანია რიჩარდსი (აშშ) | 1327 |
| 400 მ. | სანია რიჩარდსი (აშშ) | 1400 |
| 800 მ. | ჯანეტ იეპკოსგეი (კენია) | 1348 |
| 1500 მ. | იულია ჩიჟენკო (რუსეთი) | 1380 |
| 5-10 კმ. | მესერეტ დეფარი (ეთიოპია) | 1400 |
| 100 მ. თარჯრბენი | მიშელ პერი (აშშ) | 1385 |
| 400 მ. თარჯრბენი | ლაშინდა დემუსი (აშშ) | 1383 |
| 3 კმ. წინაღობებით | იერიტო კიპტუმი (კენია) | 1288 |
| სიმაღლეზე ხტომა | კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) | 1373 |
| ჭოკით ხტომა | ელენა ისინბაევა (რუსეთი) | 1379 |
| სიგრძეზე ხტომა | ტატიანა ლებედევა (რუსეთი) | 1307 |
| სამმხტომი | ტატიანა ლებედევა (რუსეთი) | 1386 |
| ბირთვის კვრა | ნატალია ხორონენკო (ბელარუსი) | 1290 |
| ბადროს ტყორცნა | ფრანკა დიეცში (გერმანია) | 1288 |
| უროს ტყორცნა | ტატიანა ლისენკო (რუსეთი) | 1337 |
| შუბის ტყორცნა | ბარბრა შპოტაკოვა (ჩეხეთი) | 1305 |
| მარათონი | დეენა დროსინ-კასტორი (აშშ) | 1339 |
| სპორტული სიარული | მარგარიტა ტუროვა (ბელარუსი) | 1335 |
| შვიდჭიდი | კაროლინა კლუფტი (შვედეთი) | 1336 |

## საერთო რეიტინგსია

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 1. ასაფა პაუელი (იამაიკა, 100 მ.) | 1452 |
| 2. ტაისონ გაი (აშშ, 100-200 მ.) | 1430 |
| 3. ჯერემი უორინერი (აშშ, 400მ.) | 1423 |
| 4. კენენისა ბეკელე (ეთიოპია; 5-10 კმ.) | 1419 |
| 5. საიფ სააედ შაჰინი (ყატარი, 5 კმ.,3 კმ. წინაღობებით) | 1401 |
| 6. ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია, შუბის ტყორცნა) | 1397 |
| 7. ლიუ სიანი (ჩინეთი, 110 მ. თარჯრბენი) | 1394 |
| 8. ირვინგ სალადინო (პანამა, სიგრძეზე ხტომა) | 1393 |
| 9. ისააკ კიპრონო სონგოკი (კენია, 5 კმ.) | 1392 |
| 9. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა, ბადროს ტყორცნა) | 1392 |
| **ქალები** | |
| 1. სანია რიჩარდსი (აშშ, 200-400 მ.) | 1401 |
| 2. მესერეტ დეფარი (ეთიოპია, 5 კმ.) | 1400 |
| 3. ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია, 5 კმ.) | 1394 |
| 4. შერონ სიმპსონი (იამაიკა, 100-200 მ.) | 1389 |
| 5. ტატიანა ლებედევა (რუსეთი, სიგრძეზე ხტომა, სამხტომი) | 1386 |
| 6. მიშელ პერი (აშშ, 100. თარჯრბენი) | 1385 |
| 7. ლაშინდა დემუსი (აშშ, 400 მ. თარჯრბენი) | 1383 |
| 8. იულია ჩიჟენკო (რუსეთი, 1500 მ.) | 1385 |
| 9. ელენა ისინბაევა (რუსეთი, ჭოკით ხტომა) | 1379 |
| 10. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი, სიმაღლეზე ხტომა) | 1373 |

# ტაი-მუშტი სახლიდან წავიდა

## ჰოკეი ძველებურ ხიბლს კარგავს



**ნჰლ-ს** აწ უკვე იშვიათად შემორჩენილ დინოზავრთაგან ერთ-ერთი, უკანასკნელი ათწლეულის ალბათ საუკეთესო მოჩხუბარი ტაი დომი გამოეთხოვა.

ეს კი იმიტომ, რომ ჩრდილო ამერიკაში უკვე აღარ სჭირდებათ დომის ყაიდის ჰოკეისტები — ჩხუბისთავა და მუდმივად მუშტებზე მოცქირალი ყვანჯის მქნეველნი. არადა, რამდენიმე წლის წინ ყველა გუნდის შემადგენლობაში იყო ერთი-ორი ასეთი სტილის მოთამაშე, რომლებსაც პოლიციელებს ეძახდნენ და მათი მთავარი მოვალეობა მეტოქის ლიდერის მწყობრიდან გამოყვანა ან კიდევ მეტოქის ძალისმიერი ილეთებით დაშინება გახლდათ. ასეთი ხალხი ნჰლის განუყოფელი ნაწილი იყო — ჰოკეის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ დეივ "ვეფხვი" უილიამსი, დეივ "ცემენტისთავა" სემენკო, ჯეი "მკვლელი" მილერი და მათნაირი გიჟმაჟები.

დომიც ასეთი იყო. „ალბანელ აგრესორს“, როგორც მას შეარქვეს, მთელ ლიგაში დიდ პატივს სცემდნენ. ეგ კი არა, 2000-ში გულშემატკივრებმა ყველაზე საყვარელ ჰოკეისტად დაასახელეს. თუმც ფანების ნაწილს ის სასტიკად ეზიზღებოდა. მაგალითად, ერთხელ ფილადელფიაში დასჯილთა სკამზე რეგულარულად მჯდომმა დომიმ ორჯერ გაწუწა მასპინძლეთა ერთი ძალიან აქტიური ქომაგი, რომელიც ისე გახელდა, ჰოკეისტზე საჩხუბრად გაიწია.

36 წლის დომი კარიერის განმავლობაში მიღებული საჯარიმო წუთებით ყველა დროის სიაში მესამე ადგილზეა თავისი 3515 წუთით და მხოლოდ უკვე ნახსენებ „ვეფხვ“ უილიამსსა (3699 წუთი) და დეილ ჰანტერს (3565 წუთი) ჩამორჩება. გარდა ამისა, დომის ანგარიშზე 400-მდე ყინულზე გამართული მუშტი-კრივია.

თუმც ნჰლ-ის კომისარმა გერი ბეიტმანმა ლიგის გაწმენდა მოინდომა და დომისნაირი ხალხი მოდიდან გადავიდა. ჩხუბისთვის ახლა აღარავის ინდობენ და მკაცრადაც სჯიან. ასე განსაჯეთ, შარშანდელი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა „დეტროიტმა“ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ექვსჯერ გაარკვია საქმე მუშტების მეშვეობით.

ადრე კი ექვსჯერ ხანდახან ერთი შეხვედრის დროს ჩხუბობდნენ, მაშინ ხომ მოედნიდან მატჩის ბოლომდე მარტო იმ შემთხვევაში აგდებდნენ, თუ ერთი. და იგივე ჰოკისტი სამჯერ იჩხუბებდა. ახლა უკვე ყოველ მუშტის მოქნევაზე სოლიდური ფინანსური ჯარიმა და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციაა.

დომიც ვერ გაუთავისდა ამ, თავისთვის ახალ რეალობას. მართალია, ალბანელი აგრესორი „პოლიციელთა“ იმ იშვიათ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებსაც მოკრივის ნიჭის გარდა ყვანჯის ქნევაც კარგა გვარიანად შეეძლო, მაგრამ ამ „ახალ“ ლიგას მაინც ვერაფერი გაუგო, ვერ შეეგუა. როგორ უნდა შეგუებოდა, როცა 16 წელი ძალისმიერ ჰოკეის თამაშობდა და არც საკუთარ თავს ინდობდა და არც მეტოქეს. ეს ის კაცია, რომელმაც 2001 წლის პლეი ოფში ნიუ ჯერსის ლიდერ სკოტ ნიდერმაიერს ისეთი ილეთი ჩაუტარა, საცოდავი ექიმებმა ძლივს „აზვეტეს“ ყინულიდან. მაშინ დომიმ მხოლოდ საყვედური თუ მიიღო, დღეს კი შეიძლება, სასამართლოშიც გაერჩიათ საქმე. იგივე ტოდ ბერტუცის მაგალითიც კმარა, რომელსაც თემიდის წარმომადგენლები კიდევ არ ასვენებენ.

ჰოდა, დომი ადგა და წავიდა. „ტორონტომ“ არ ისურვა მისი შენარჩუნება და ახალ ქალაქში გადასვლასა და ცალკე ახალ გარემოსთან, ცალკე კი ახლა წესებთან შეგუებას საერთოდ წასვლა ამჯობინა.

„მიყვარს ჰოკეი და „ტორონტო“, ეს ჩემი სახლია. ამიტომ, რადგან დღევანდელ გუნდში ჩემი ადგილი ვერ მოიძებნა, სხვა გუნდის მაისურაში, განსკუთრებით კი ამ ახლებურ თამაშში ჩემს ადგილს ვეღარ ვხედავ“ — ესღა თქვა თვალაცრემლიანმა დომიმ.

მაგრამ ალბანელი ჰოკეის მთლიანად არ ჩამოშორებია — ის კომენტატორობას აპირებს და ამიერიდან ყინულის მაგივრად ტელევიზორის ეკრანებიდან გპართობს ხალხს.

დომი წავიდა, მისი სახით კი ნჰლ-მა ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული პიროვნება და გარკვეულწილად ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველებური ხიბლი დაკარგა.

**ბაჩა ლომაშვილი**




იყო დრო, ტაი დომი მეტოქის ქომაგებსაც ახელებდა

# რკინის ხანა დასრულდა

## იან ჟელეზნი საბოლოოდ წავიდა



**მორჩა!** ლეგენდარულმა ჩეხმა შუბმტყორცნელმა იან ჟელეზნიმ ოფიციალურად დაასრულა კარიერა და ეს მშობლიურ პრაღაში, ერთ მომცრო ტურნირზე შუბის უკანასკნელი ტყორცნის შემდეგ განაცხადა. ჟელეზნი თითქოს კიდევ აპირებდა ერთ შეჯიბრზე გამოსვლას, 24 სექტემბერს იაპონურ იოკოჰამაში, მაგრამ 40 წლის მძლეოსანმა ალბათ იფიქრა, იმ სიშორეზე წასვლა აღარც ღირსო და მოოქროვილი კარიერა იქ დაამთავრა, სადაც 2 ათეულზე მეტი წლის წინ დაიწყო.

ბარსელონის, ატლანტის და ათენის ოლიმპიადების მომგებ ჟელეზნის ცხოვრებაში ყველა უმაღლესი ტიტული აქვს მოგებული გარდა ერთისა — ტრავმების თუ სხვა რამ მიზეზთა გამო ყველა დროის უძლიერესი შუბმტყორცნი არასდროს გამხდარა ევროპის ჩემპიონი. საკუთარი კონტინენტის პირველობაზე მან მხოლოდ ბრინჯაოს მოპოვება მოახერხა, ისიც წლეულს.

# დევისის თასი 2006

## ევრო-აფრიკული ზონის II ჯგუფი. ბუდაპეშტი

## უნგრეთი VS საქართველო

# არეული უნგრეთი ქართველებმა უნდა დარიონ



საქართველოს ნაკრების კაპიტანი გელა ელერდაშვილი და ლიდერი ირაკლი ლაბაძე

**ხვალ** უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის რომაი ტენის-აკადემიის კაპაციტშტადიონის თიხის კორტზე დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის II ჯგუფის გადამწყვეტი მატჩი უნდა დაიწყოს უნგრეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის, მაგრამ ამ წუთისთვის ძნელი სათქმელია, ამ ეტაპზე ეს მატჩი საერთოდ შედგება, თუ არა — მთლიანად უნგრეთში და განსაკუთრებით ბუდაპეშტში დიდი არეულობაა, მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო ხალხი ქუჩებშია გამოსული და ძნელი სათქმელია, მადიარებს ჩოგბურთისთვის სცხელათ თუ არა, ანდა თუ იძლევიან შეხვედრის უსაფრთხოდ ჩატარების გარანტიას.

რა და როგორ იქნება, ამას, ალბათ უახლოეს საათებში შევიტყობთ, მანამდე კი უნგრეთისა და საქართველოს სადევისთასო ნაკრებების მოკლე ისტორიასა და სადღეისო შემადგენლობებს გაგაცნობთ.

**P.S.** „ჯერჯერობით თამაშის გადადების შესახებ არავის არაფერი უთქვამს — გვითხრა გუშინ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა — უკვე მეორე დღეა, ჩვენი გუნდი ბუდაპეშტშია და თამაშისთვის სრული შემადგენლობით ემზადება. ცოტა ხნის წინაც ველაპარაკე და საკმაოდ მშვიდად არიან. უბანში, სადაც ვარჯიშობენ, არეულობა არ იგრძნობა“.



## უნგრეთი

დებიუტი დევისის თასზე: 1924
. ჩატარებული 140 მატჩიდან
67 მოიგო და 73 წააგო

**ბოლო ორ სეზონში ჩატარებული მატჩები**

2005 წელი
უნგრეთი — მონაკო 4:1
უნგრეთი — უკრაინა 2:3
2006 წელი
უნგრეთი — ეგვიპტე 5:0
ბულგარეთი — უნგრეთი 2:3

**ჩატარებული და მოგებული მატჩების რეკორდსმენი**

სულ: *ბალაშ ტაროცი* — 95 თამაშში
76 მოგება და 19 წაგება
ერთეულებში: *ბალაშ ტაროცი*
— 62 თამაშში 50 მოგება და 12 წაგება
წყვილებში: *ბალაშ ტაროცი*
— 33 თამაშში 26 მოგება და 7 წაგება

**შემადგენლობა**

კაპიტანი *შაბოლშ ბარანი*
კორნელი ბარდოცკი — 28 წლის.
რეიტინგის 550-ე ნომერი.
დევისის თასზე ჩატარებული
28 თამაშიდან 18 მოიგო
და 10 წააგო.
სებო კიში — 23 წლის.
რეიტინგის 820-ე ნომერი.
დევისის თასზე ჩატარებული
12 თამაშიდან 9 მოიგო და 3 წააგო.
გერგეი კიშგეორგი — 30 წლის.
ერთეულთა რეიტინგში არ ფიგურირებს.
წყვილთა რეიტინგის 789-ე ნომერი.
დევისის თასზე ჩატარებული
35 თამაშიდან 22 მოიგო და 13 წააგო.
გეორგ ბალაში — 21 წლის.
რეიტინგის 1277-ე ნომერი.
დევისის თასზე ჩატარებული
3 თამაშიდან 2 მოიგო და 1 წააგო.

## საქართველო

დებიუტი დევისის თასზე: 1994
ჩატარებული 49 მატჩიდან
33 მოიგო და 16 წააგო

**ბოლო ორ სეზონში ჩატარებული მატჩები**

2005 წელი
ბულგარეთი — საქართველო 4:1
განა — საქართველო 2:3
2006 წელი
საქართველო — სამხრეთ აფრიკა 3:2
პოლონეთი — საქართველო 2:3

**ჩატარებული და მოგებული მატჩების რეკორდსმენი**

სულ: *ირაკლი უშანგიშვილი* — 44 თამაშში
29 მოგება და 15 წაგება
ერთეულებში: *ირაკლი უშანგიშვილი* — 28
თამაშში 19 მოგება და 9 წაგება
წყვილებში: *ირაკლი უშანგიშვილი* — 16
თამაშში 10 მოგება და 6 წაგება
*ვლადიმერ გაბრიჩიძე* — 14 თამაშში
10 მოგება და 4 წაგება

**შემადგენლობა**

კაპიტანი *გელა ელერდაშვილი*
ირაკლი ლაბაძე — 25 წლის.
რეიტინგის 166-ე ნომერი.
დევისის თასზე ჩატარებული
21 თამაშიდან 18 მოიგო და 3 წააგო.
ლადო ჩიხლაძე — 21 წლის.
რეიტინგის 466-ე ნომერი.
დევისის თასზე ჩატარებული
15 თამაშიდან 6 მოიგო და 9 წააგო.
გიორგი ჭანტურია — 17 წლის.
რეიტინგში არ ფიგურირებს.
დევისის თასზე არ უთამაშია.

## იან ჰომერის თასი ჰარდი. საპრიზო 10 000 $



# სოფო შაფათავა რვეულში ჩაეწერა

**მეორე წრე**

**ანა ლაპუშჩენკოვა** (1, რუსეთი) — კრისტინა გრიგორიანი (რუსეთი) 3:6 6:4 6:1; **ვასილისა დავიდოვა** (5, რუსეთი) — ელინა ჰასანოვა (აზერბაიჯანი) 6:3 6:3; **აგნეს ზატმარი** (4, რუმინეთი) — ეკა გორგოძე (საქართველო) 6:4 6:3; **ალექსანდრა მალიარჩიკოვა** (ბელარუსი) — რია დოერნემანი (6, გერმანია) 4:6 6:1 6:2; **ამინა რახიმი** (ყაზახეთი) — ქსენია პალკინა (ყირგიზეთი) 6:3 7:6 (7:5); **ვარვარა გალანინა** (რუსეთი) — ევგენია გრებენიუკი (3, რუსეთი) 6:4 7:5; **სოფო შაფათავა** (საქართველო) — ვოლჰა დუკო (ბელარუსი) 6:2 6:3; **სტელა მენა** (2, იტალია) — მაია გავეროვა (რუსეთი) 6:4 6:2.

„იან ჰომერის თასისთვის“ ბრძოლას რვა ჩოგბურთელიდა აგრძელებს. მათ შორის მხოლოდ ერთი ჩვენებურია — სოფო შაფათავა, რომელიც ტურნირის ძირითად ბადეში ვაილდ ქაარდით მოხვდა. სოფომ გუშინ თავისსავით კლასიფიკაციის ცხრაასეულში მყოფი, მაგრამ ოცდათორმეტი ადგილით წინ მდგომი ბელარუსი ვოლჰა დუკო დაჩაგრა —6:2 6:3. ანგარიში ისეთია, ქართველის იოლ გამარჯვებას გაფიქრებინებთ, სინამდვილეში კი საკმაო დაძაბული და კარგი საყურებელი თამაში გამოვიდა. განსაკუთრებით მეორე სეტი.

დუკომ შაფათავას მხოლოდ ხუთი გეიმი აუღო. ხუთივე საოცრად გრძელი გათამაშებების შემდეგ. ამასთან, თითქმის არც ერთი წაგებული ქულა უბრძოლველად არ დაუთმია. ამიტომაც იყო, თამაში ორ საათზე მეტხანს რომ გაიწელა.

პირველ სეტში სოფომ მეექვსე გეიმიდან მოიპოვა უპირატესობა. 3:2-ზე მნიშვნელოვანი ქულა მოინაგრა. მერე კი ანერვიულებულ ბელარუსს ზედ ორიც მიუყოლა და ნახევარი საქმე გააკეთა. მეორე ნახევარიც ისე დაიწყო, მალევე ცხადი გახდა, რომ საქმე აუცილებლად ბოლომდე მიიყვანდა. 0:3-ზე დუკომ კორტზე ექიმს უხმო. სამედიცინო დახმარების გარეშეც უპრობლემოდ ჩაითამაშებდა, მაგრამ ტაქტიკური სვლა გააკეთა — ტემპი უნდა დაეგდო და მოსაგებად მომართული ქართველი ცოტა დაეშოშმინებინა. არ გაუმართლა. შაფათავამ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ბელარუსმა მარცხამდე ერთი გაბრძოლება მაინც შეძლო — 1:5-ზე სოფოს მოწოდება აუღო და ზედ თავისიც მიაყოლა. ჩვენებურმა კი მატჩბოლი ვერ გამოიყენა. თამაშის გასრულების ერთი შანსი ქარმა მეცხრე გეიმშიც წაიღო, თუმცა ორიოდ წუთში სოფო შაფათავამ წერტილი მაინც დასვა.

დღეს ქართველს გაცილებით ძლიერი მეტოქე ელის მეორე ნომრად განთესილი იტალიელი სტელა მენას სახით. ამ უკანასკნელმა გუშინ გზიდან რუსი მაია გავეროვა ჩამოიცილა.

მერვედფინალში დაასრულა თამაში „ბორჯომის თასის“ აღმოჩენამ ეკა გორგოძემ, თუმც ისე წააგო, აუგი არავის დასცდენია — მეოთხე ნომრად განთესილ რუმინელ აგნეს სზატმარს ჩვეულად ებრძოლა, მაგრამ გამოცდილებამ და კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

მეოთხედფინალური წყვილებიდან გამორჩეულად საინტერესო ყაზახი ამინა რახიმისა და რუსი ვარვარა გალანინას თამაში უნდა გამოვიდეს. ამ ჩოგბურთელებმა „იან ჰომერის“ კორტებზე ერთხელ უკვე ითამაშეს — „ბორჯომის თასის“ ნახევარფინალში და სამ სეტში გამარჯვება გალანინას დარჩა. მოგვიანებით ვარვარამ ჩემპიონობაც მოიპოვა.

გუშინ რუსმაც და ყაზახმაც განთესილი მეტოქეები ჩამოიცილეს — ევგენია გრებენიუკი (3) და ქსენია პალკინა (7). ნაადრევად დაამალითა ჩოგანი გერმანელმა რია დოერნემანმაც (6). მას გული ბელარუსმა ალექსანდრა მალიარჩიკოვამ დასწყვიტა. მანანა შაფაქიძის მძლეველმა, ტურნირის პირველმა ნომერმა რუსმა ანა ლაპუშენკოვამ კი კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა „იან ჰომერის თასისკენ“, მაგრამ საამისოდ გვარიანი ოფლისღვრა და სამი სეტი დასჭირდა.

მეოთხედფინალები დღეს ჩათამაშდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მაკა ჩახნაშვილმა WTA-ს კარი გახსნა

**წარმატებული** გამოდგა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის მაკა ჩახნაშვილის დებიუტი WTA-ტურის ეგიდით გამართულ შეჯიბრში. აქამდე მაკა ძირითადად ITF-ის ტურნირებში თამაშობდა და იქ აგროვებდა სარეიტინგო ქულებს. აგვისტოში მან US open-ის საკვალიფიკაციო ეტაპზეც მიიღო მონაწილეობა, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა და აი, სლოვენიურ პოსტორაცში ჩახნაშვილის დებიუტი შედგა პროფესიონალ ქალ ჩოგბურთელთა, ანუ WTA--ს ეგიდით გამართული ასპარეზობის ძირითად ბადეში.

პოსტორაცში თამაშის უფლება ჩახნაშვილმა ბოლოდროინდელი წარმატებების წყალობით მიაღწია. მაკა WTA-ს რეიტინში უკვე 153-ე ადგილზეა და დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ — ორშაბათს რომ ახალი კლასიფიკაცია გამოქვეყნდება, ქართველი ჩოგბურთელი უფრო წინ წაიწევს, რადგანაც 145 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე სლოვენიური ტურნირის პირველი წრე გაიარა და ამით თავის 175,5 სარეიტინგო ქულას კიდევ თორმეტი მიამატა.

ჰარდის კორტებზე მიმდინარე სლოვენიის ღია პირველობის პირველ წრეში მაკას მეტოქე კლასიფიკაციის 164-ე ნომერი, ჩეხი ლუსი ჰრადეცკა იყო, ვისაც ქართველმა ორ სეტში — 6:3 6:4 მოუგო.

მეორე წრეში ჩახნაშვილს გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგე ეყოლება ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი სლოვაკის იარმილა გაიდიშოვას სახით. რეიტინგის 65-ე საფეხურზე მყოფმა სლოვაკმა პირველ ეტაპზე ჩეხ ევა ბირნეროვას ასევე ორ სეტში — 6:3 6:1 სძლია.

# აი და შუაი

**ქალები**

პეკინი. ჩინეთი. ჰარდი

საპრიზო 600 000 $

**პირველი წრე**

**ლინდსი დევენპორტი** (5, აშშ) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) 7:6 3:6 7:5; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:3 6:3

**მეორე წრე**

**შუაი პენგი** (ჩინეთი) — მარია კირილენკო (8, რუსეთი) 5:7 6:4 6:2; **აი სუგიამა** (იაპონია) — ნიკოლ ვაიდიშოვა (4, ჩეხეთი) 6:4 1:6 6:3

**ქალები**

კალკუტა. ინდოეთი. ჰარდი

საპრიზო 175 000 $

**პირველი წრე**

**სანდრა კლოზელი** (გერმანია) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) 7:6 5:7 6:4; **სანია მირზა** (5, ინდოეთი) — რუშმი ჩაკრავარტი (ინდოეთი) 6:0 6:4; **ნიკოლ პრატი** (7, ავსტრალია) — სუნიტა რაო (აშშ) 2:6 6:3 6:3; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — ანასტასია როდიონოვა (8, რუსეთი) 1:6 6:3 6:3; **ჰანა შრომოვა** (ჩეხეთი) — შიკჰა უბეროი (ინდოეთი) 6:4 6:3

**მეორე წრე**

**ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — აბიგაილ სპირსი (აშშ) 2:6 6:4 6:2; **არავანე რეზაი** (4, საფრანგეთი) — ტატიანა პუტჩეკი (ბელარუსი) 6:1 6:2



ანა ჩაკვეტაძე ლინდსი დევენპორტმა წააქცია

**პეკინში** გრძელდება მასპინძლეთა თუ სხვა აზიელთა ზეობა. ძნელი სათქმელია, ევროპელებს ან ამერიკელებს ფეხის გულებს წვავს ჩინური ჰარდი თუ იქაური ჰავა არ მოსწონთ, მაგრამ ფაქტია, რომ თავისზე გაცილებით დაბალი დონის აზიელ ჩოგნის მქნეველებთან ვერაფერს აწყობენ.

თუმც სანამ ამ თემას გავაგრძელებდეთ, დღის ყველაზე საინტერესო მატჩზე შევჩერდეთ. ლინდსი დევენპორტსა და ანა ჩაკვეტაძის ჯახზეა საუბარი, რომელშიც გამოცდილი ამერიკელი ფრიად კი გაწვალდა ახალგაზრდა მეტოქესთან, მაგრამ მაინც მოგებული დარჩა და მეორე წრეშიც გავიდა. არადა, ჩაკვეტაძემ მთელი შეხვედრა თავდაუზოგავად იომა და წარმატების შანსიც ჰქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ შეძლო ნერვების მოთოკვა.

პირველი სეტი ძალიან თანაბარი გამოვიდა, რომლის ბედიც ტაიბრეიკზე გაირკვა. აქ ამერიკელი უფრო იღბლიანი აღმოჩნდა და დაწინაურდა კიდეც. სამაგიეროდ, მეორე პარტიაში ანას უპირატესობა თვალში საცემი იყო და ანგარიშიც მალევე გათანაბრდა.

გადამწყვეტი პარტია პირველის მსგავსად თანაბარი გამოვიდა და საქმე თითქოს კიდევ ერთი ტაიბრეიკისკენ წავიდა, მაგრამ აქ დევენპორტის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა — მეტოქის ოდნავი უყურადღებობა ამერიკელმა კარგად გამოიყენა და მეთორმეტე გეიმში ბრეიკის გაკეთებით ორსაათიან ბატალიას თავის სასარგებლოდ დაუსვა წერტილი.

გუშინ გამართული მეორე წრის ორივე შეხვედრაში კი აზიელებმა ფავორიტები დაიფრინეს. ჯერ იყო და მასპინძელმა შუაი პენგმა პეკინის შარშანდელ ტრიუმფატორ მარია კირილენკოს გამოუყვანა წირვა. თუმც ჩინელი უბრალოდ ვალდებული იყო, მადლობა გადაეხადა მეტოქისთვის, რადგან კირილენკომ თავისით უფრო წააგო. მაშ რუსის მიერ დაშვებული 10 ორმაგი და კიდევ სამჯერ ამდენი უნებლიე შეცდომა სხვანაირად როგორ უნდა შეფასდეს.

„პირველ ორ სეტში კიდევ არა მიშავდა, მაგრამ მესამეში უკვე ჯოჯოხეთი იყო. ასე ცუდად ცხოვრებაში არ მითამაშია“ — თვითკრიტიკული იყო კირილენკო.

დღის მეორე და კიდევ უფრო ხმამაღალი სენსაციის ავტორი კი აი სუგიამა შეიქნა, რომელმაც ტურნირიდან მეოთხე ნომერი ნიკოლ ვაიდიშოვა დაიფრინა. იაპონელმა კარგად გაანაწილა ძალები და ამის ხარჯზე გააგდო თინეიჯერი ჩეხი.

ისე, ვაიდიშოვას აშკარად ჩავარდნა აქვს. ჩეხმა შარშან სწორედ ამ დროს დაიწყო თავისი გიჟური სვლა, როცა ზედიზედ სამი ტურნირი მოიგო და საკუთარი თავის, როგორც ამომავალი ვარსკვლავის პრეზენტაცია მოაწყო. თუმც მიმდინარე სეზონის ბოლოს ნიკოლი აშკარად გადაიღალა და ამიტომაცაა, რომ ბოლო ხანს ერთი წრის გავლაც კი უჭირს ხოლმე.

კალკუტაში მარტინა ჰინგისის ჩაუქრობის გარდა საინტერესო ის ხდება, რომ ფავორიტებს იქიდანაც პანტაპუნტით ყრიან. ასე რომ, შვეიცარიელის ერთადერთ სერიოზულ მეტოქედ ალბათ მხოლოდ მასპინძლეი სანია მირზა მოიაზრება.

**ჭაჭა ლომჯიშვილი**





# კლიჩკომ იუბილე არ ჩაიშალა
## გინდათ მცემოთ? ჩადექით რიგში

ისე მოხდა, რომ პროფესიულ კრივში ყველაზე პრესტიჟულ ზემძიმე წონაში და ყველაზე პრესტიჟულ ქამრებს პოსტსაბჭოელი მოკრივეები ფლობენ. დავაკონკრეტოთ: ფედერაციის (IBF) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკოა, საბჭოს (WBC) ვერსიით უძლიერესი რუს-ყაზახი ოლეგ მასკაევია, ასოციაციის (WBA) ქამარი რუს ნიკოლაი ვალუევს არტყია, ხოლო ორგანიზაციის (WBO) მსოფლიოს ჩემპიონი ბელარუსი სერგეი ლიახოვიჩია.

ამათში ყველაზე მეტად უმცროსი კლიჩკოს საჩემპიონო ქამარი ფასობს, რაც დანარჩენებს მშვიდ ძილს უფრთხობს. ერთი სიტყვით, კინკილა ქამარი არც ერთს არ აკმაყოფილებს და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა სხვა ვერსიითაც სურთ. კლიჩკო და მისი ქამარი, ეტყობა, კოშმარად ექცა ბელარუს სერგეი ლიახოვიჩს, ვინც უკრაინელთან ბრძოლა უკვე რინგსმილმა დაიწყო და კლიჩკოს გალიზიანებას პრესით ცდილობს. „კლიჩკო მშიშარაა, სხვას ვერაფერს დავარქმევ მის საქციელს. ჩვენ რამდენჯერმე შევთავაზეთ მის ბანაკს, რომ მათთვის სასურველ დროს და ადგილას შევხვდებოდი, მაგრამ კაცური პასუხის ღირსადაც არ ჩაგვთვალეს. ველაცის პირით შემოგვითვალეს, რომ ამ ბრძოლის წინააღმდეგი ჩვენი პრომოუტერი დონ კინგი იყო, რაც სრული სიცრუეა. ერთი სიტყვით, კლიჩკოს ეშინია, რადგან ახლა ფორმის პიკში ვარ და დიდი-დიდი, ჩემთვის ერთი-ორი რაუნდი გაეძლო“ — აი, ასე იბაქიბუქა „მთელი სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ბელარუსმა ჩემპიონმა.

ლიახოვიჩი ერთადერთი არაა, ვისი მუშტების სამიზნეც კლიჩკოს სიფათია. უკრაინელ მძიმეწონოსანთან ჩხუბს ნატრულობს საბჭოს ჩემპიონი ოლეგ მასკაევიც. ოღონდ მასკაევს ჩხუბი სანატრელი არ ჰქონდა, რომ არა მარჯვენა ხელის მაჯის ტრავმა. მასკაევმა მაჯა ტიტულის დაცვისას, ჰასიმ რახმანის ჟეჟვისას დაიზიანა. „ძალიან ვწუხვარ, რომ კლიჩკოსთან ბრძოლაზე უარის თქმა მომიწია. რა ვქნა, ტრავმირებული ვიყავი. ასეთ ვითარებაში კი ისეთ მეტოქესთან ჩხუბი, როგორიც კლიჩკოა, წარმოუდგენელი რამაა. ახლა უკვე სინანულის დროც აღარ მაქვს, რადგან ტიტულის დაცვა ნიგერიელ სამუელ პიტერთან მომიწევს. მინდა, ვთხოვო საბჭოს, რომ პიტერის ნაცვალი მეტოქე თავად ავირჩიო. ნიგერიელი კარგი მოკრივეა, მაგრამ ჩემამდე ბევრი უკლია და ეს ბრძოლა არც სპორტული და არც ფინანსური თვალსაზრისით არაფერს მომცემს“ — განაცხადა მასკაევმა, რომელიც იმედოვნებს, რომ ტიტულის დაცვის შემდეგ კლიჩკოსთან ბრძოლის უფლება კიდევ ერთხელ ექნება.

კლიჩკოს ამბავში რიგში ჩადგა ვეება რუსი ნიკოლაი ვალუევიც. ამას წინათ ვალუევმა მუშტები რინგზე კი არა, საკუთარი სახლის წინ, ავტოსადგომზე უშნოდ იქნია და დარაჯიც მაგრა მიბეგვა, რისთვისაც დაკითხეს კიდეც. ეგაა, ამ წონის კაცს საცოდავი დარაჯის მიბეგვა ხახვივით შერჩა და ახლა იგივეს უპირებს ვლადიმერ კლიჩკოსაც: „დარწმუნებული ვარ, კლიჩკოს ჩემთან შეხვედრის სურვილი არ ექნება. მან იცის, რომ ვერ გამიძლებს და რინგზე გაიშხლართება. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები ამ რეკლამირებულ ვითომ ჩემპიონს. მეუბნებიან, მოიცადეო. მეც ვიცდი, მაგრამ დიდხანს ლოდინს არ ვაპირებ“.

ამასობაში კი თავად კლიჩკო არხეინადაა და მშვიდად ემზადება მორიგი ბრძოლისთვის. 11 ნოემბერს უკრაინელი მოკრივე პირველად დაიცავს თავის ქამარს, მას შემდეგ რაც აპრილში კრის ბერდი დაანოკაუტა. კლიჩკოს ტიტულის მოცილე ამერიკელი კელვინ ბროკი იქნება, ვისაც პროფესიულ რინგზე 29 ბრძოლა გაუმართავს და ყველა მოუგია. „ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარ, ისე ვგრძნობ თავს, როგორც 25-26 წლის ასაკში. ბროკი ძალიან კარგი მოკრივეა, მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მინდა, განვაცხადო, რომ ჩემი დამარცხების ერთი პროცენტი შანსიც არ აქვს“ — თქვა კლიჩკომ.

უკრაინელის და ამერიკელის სატიტულო ბრძოლა დიდებულ „მედისონ სკვერ გარდენში“ გაიმართება და ბილეთის მინიმალური ფასი 700 დოლარი იქნება. ერთიც, კლიჩკოს ბანაკმა ბრძოლის თარიღი ერთგვარ იუბილეს დაამთხვია. 11 ნოემბერს ათი წელი შესრულდება, რაც უმცროსი კლიჩკო პროფესიულ რინგზე დგას.

**ბაჩო სვანიძე**

რუსთავის სარაგბო კლუბი იუწყება,

რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე

**ბესო აფციაური**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP რომიდან

რომა — ინტერი. ხავიერ ძანეტი და მისი თანაგუნდელები მასპინძლებს თავზე გადაახტნენ



AFP ლივერპულიდან

ლივერპული — ნიუკასლი. პირველად „ახალციხელებს“ დირკ კუიტმა გაუტანა



AFP მილანიდან

„მილანმა“ მარეკ იანკულოვსკის (შუაში) კინკილა გოლით სძლია მეტოქეს





AFP რომიდან

რომა — ინტერი. სტუმარი პატრიკ ვიეირა მატჩის არბიტრმა ჯერ გააფრთხილა, მერე კი გააძევა კიდეც

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ლივერპული 2:0 ნიუკასლი

ლიგის თასის
მეორე ეტაპი

*ჩესტერფილდი* 2:1 მანჩესტერ სიტი
*დონკასტერი* 8:7პენ. (3:3) დერბი
ფულემი 1:2 *უიკომბი*
სკანთორპი 1:2 *ასტონ ვილა*
მიდლსბრო 0:1 *ნოტსი*

## სლოვაკეთი

პირველი ლიგა
XI ტური

არტმედია 3:1 სენეცი
ბანსკა ბისტრიცა 1:0 ნიტრა
ჟილინა 2:0 რუჟომბეროკი

## შვედეთი

ალსვენსკა. XIX ტური

გაის 1:1 ჰალმსტადი
ჰეკენი 1:4 ელფსბორგი
ჰელსინგბორგი 2:0 გეფლე
იურგორდენი 0:1 აიკ

სუპერეტა
გადადებული მატჩი

ტრელებორგი 1:0 დეგერფორსი

## სლოვენია

თასის 1/8 ფინალი

ბელა კრაინა 1:2 მურა
ბონიფიკა 1:3 ნოვა გორიცა
ბრდა 3:5 ველენიე
კრენშოვცი 0:2 მარიბორი
ნაფტა 2:1 ფაქტორი
ზაგორიე 1:3 კოპერი
პუბლიკუმი 2:1 დრავა
დომჟალე 1:2 პრიმორიე

## ესპანეთი

თასის მეორე ეტაპი

*ალკოიანო* 2:1 ბენიდორმი
ბადახოსი 1:5 *ლინარესი*
*ბადალონა* 3:0 ფეროლი
*ბურგოსი* 3:2 ორიხუელა
*ესიხა* 3:0 რეალ უნიონი
*ეიბარი* 1:0 აგილასი
*ელჩე* 1:0 პონფერადინა
*სეგოვიანა* 3:1 კარტახენა
ლუგო 0:3 (1:1) *რაიო ვალეკანო*
*პენა სპორტი* 2:0 ბარბასტრო
*პორტუენსე* 2:0 ფუენლაბრადა
*პუერტოლანო* 4:3 (0:0) ლეიდა
*უნივერსიდადი* 1:0 სანტა ეულალია
ვესინდარიო 0:1დ.დ. (0:0) *ერკულესი*
*ხერესი* 3:0 ალბასეტე
ნუმანსია 2:4პენ. (1:1) *პოლი ეხიდო*
სალამანკა 0:1 *ალმერია*
ლორკა 0:1 *ვალიადოლიდი*
მალაგა 2:1 *სიუდად მურსია*
ტენერიფე 1:2 *ალავესი*
*კადისი* 3:2 სპორტინგი
მურსია 0:1 *ლას პალმასი*

## საფრანგეთი

ლიგის თასის
მეორე ეტაპი

*ნანსი* 1:0 ნიცა
კრეტეი 1:4 *ლანსი*
*ოსერი* 2:0 სტრასბური
მონპელიე 1:2 *მარსელი*
*პსჟ* 3:1 ლორიანი
სედანი 0:1 *სოშო*
*რენი* 2:1 ლიბურნი
სეტე 1:4 *სენტ ეტიენი*
ტრუა 1:2 *ლე მანი*
ვალანსიენი 4:5პენ. (0:0) *მონაკო*

## იტალია

სერია A. III ტური

კიევო 0:1 ლაციო
ფიორენტინა 1:0 პარმა
მესინა 2:0 რეჯინა
მილანი 1:0 ასკოლი
პალერმო 5:3 კატანია
რომა 0:1 ინტერი
სამპდორია 3:3 უდინეზე
ტორინო 1:2 სიენა
ატალანტა 0:0 ემპოლი
კალიარი 2:2 ლივორნო

სერია B. III ტური

ვიჩენცა 0:1 ჩეზენა
სპეცია 1:0 ვერონა

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი

ინტერი 1:0 მიუპა

თასის მეოთხე ეტაპი

კპვ 3:0 კემი
ჰიკ 2:1 ლაჰტი

## შოტლანდია

ლიგის თასის 1/8 ფინალი

ჰიბერნიანი 6:0 გრეტნა
ქუინზ პარკი 0:3 მოზერუელი
დანფერმლაინი 0:2 რეინჯერსი
ალოა 0:4 ჰართსი

## პოლონეთი

თასის 1/16 ფინალი

ლოძი 2:1 ლეჩნა

## ნორვეგია

თასის ნახევარფინალი

*ფრედრიკსტადი* 3:2დ.დ. (2:2) სტარტი

## ჰოლანდია

თასის მეორე ეტაპი

გრონინგენი 2:1 ოსი
არგონი 1:3 ვიტესი
ბე კვიკი 4:1 VVOG
დე ტრეფერსი 2:6 სპარტა
DOTO 1:7 ტვენტე
EVV 0:2 ნაიმეგენი
კოზაკენ ბოისი 0:2 პსვ (II)
მეერსენი 6:3დ.დ. (3:3) WHC
სნეეკი 0:2 ალკმაარი (მ)
ტურკიემსფორი 1:6 დენ ჰააგი
ვალვაიკი (მ) 2:5 აიაქსი

## რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩები

ლუჩ-ენერგია 3:0 *დინამო (მხ)* (0:4)
მეტალურგი (კრ) 1:2 *სატურნი* (1:4)
ანჟი 1:1 *ლოკომოტივი (მ)* (2:4)
*ტომი* 2:1 დინამო (კიროვი) (4:0)
*სიბირი* 2:0 სპარტაკი (ნ) (1:1)
ანგუშტი 1:2 *ამკარი* (0:3)
*როსტოვი* 0:1 ხიმკი (2:0)
მორდოვია 1:0 *ცსკა* (0:4)
*მოსკვა* 4:0 ტერეკი (1:4)
ყუბანი 1:4 *კრილია* (1:1)
შინიკი 3:1 *დინამო (ბრ)* (0:2)
*დინამო (მ)* 2:0 სპარტაკი (ნ-ნ) (3:1)
*სპარტაკი (მ)* 2:2 ურალი (1:0)
*ზენიტი* 2:1 ლოკომოტივი (ჩ) (2:1)

## იაპონია

თასის ნახევარფინალი

*იჩიჰარა* 3:2დ.დ. (2:2) კავაზაკი
*იოკოჰამა* 2:1 კაშიმა

## თურქეთი

თასის 1/16 ფინალი

სიირთსფორი 1:4 რიზე
ელაზიგი 1:2 ანკარაგიუჯიუ
ოფთასფორი 0:1 ინეგოლსფორი
ისთანბული 0:5 მანისა
კეჩიორენგუჩუ 2:4 გაზიანთეფი
მარდინსფორი 1:2 ქაისერი
ორდუსფორი 2:3 ერჟიესი
ბუქასფორი 2:1 საქარია
ქარშიაქა 3:2 დენიზლი
ანკარა 4:0 კაშიმპასა
ანთალია 0:1 ესკიშეჰირსფორი
ბურსა 3:0 სებათი
სივა 3:0 ალანიასფორი

## დანია

თასის 1/16 ფინალი

ჰელსინგორი 2:5 *რანდერსი*
ფკ ორჰუსი 0:2 *მიდტიულანდი*
როსკილდე 1:2დ.დ. (1:1) ორჰუსი
კიელერუპი 2:3 *ნოლგაეკი*
იოსტერბრო 0:7 *ვიბორგი*
სორიო ფრეია 0:8 *ლიუნგბიუ*
ტისტედი 0:3პენ. (1:1, 1:1) *კოპენჰაგენი*
აკადემისკი 0:2 *სიონდერისკე*
ბრიონსჰიოი 0:3 *ბრონდბიუ*
*ფრედერიკშავნი* 1:0 ფინი
*გლოსტრუპი* 3:2 ნიკიობინგი
*ოდენსე* 1:0 ნორდსიელანდი
სკივე 2:3დ.დ. (2:2) *ფრედერისია*
სკიოლდი 0:5 *კოლდინგი*
ვაილე 3:4პენ. (3:3, 3:3) *ჰორსენსი*

## სერბეთი

პრვა ლიგა
გადადებული მატჩი

ზემუნი 1:2 ცრვენა ზვეზდა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

**გამომცემელი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**მთავარი რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**პასუხისმგებელი რედაქტორი** კახა შალამბერიძე
**ტექნიკური რედაქტორი** მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
**უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვაჟა ხუციშვილი
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** გიორგი ბერიკაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge